პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ყვირა 5 სექტემბერი 1937 წ. № 203 (5004)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

დღეს გაზეთში:

— გამოვასწოროთ ჩამორჩენა თამბაქოს აღებაში! (მოწინავე).
— მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სტახანოველების მისალმება ამხანაგ სტალინს.
— ამხ. მ. ალექსეევის შესანიშნავი გაფრენა.
— სსრ კავშირის მიწსახკომის განმარტება.
— თავდაცვის სესხის რეალიზაცია საქართველოში.
— ბეთათურის მარგანტრესტის ახალი წარმატება.
— პროფ. ბ. წულუკიძე — მარგანეცის ამოღების მექანიზაცია (ფელეტონი).

უცხოეთში:
— ესპანეთის ფრონტებზე.
— მდგომარეობა შანხაის ფრონტზე.
— ფაშისტ-პირატთა კიდევ ერთი ვერაგობა.
— ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას.
— რობერტ მაინორი ტროცკისტ ბანდიტთა ძირგამომთხრელი მუშაობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში.
— იაპონიის ფასიანი მაღალდების ოპერაციები არ სწარმოებს.

გამოვასწოროთ ჩამორჩენა თამბაქოს აღებაში!

მეთამბაქოობის რაიონები ფრიად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. მათ არა უგვიანეს 15 სექტემბრისა უნდა დაამთავრონ თამბაქოს მოსავლის აღება. მიწსახკომის 1 სექტემბრის ცნობებით, საქართველოში თამბაქოს მოსავალი აღებულია 51.130.222 ზონარ-მეტრის რაოდენობით, ანუ გეგმის 48,7 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ თამბაქოს მოსავლის აღებაში დიდი გაჭიანურებაა და თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდა, ჯერ-ერთი, გაუარესდება თამბაქოს ხარისხი და მეორე — თამბაქოს დამზადების წლიური გეგმის შესრულება საფრთხის წინაშე დადგება.

თამბაქოს კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სოფლის მეურნეობაში. თამბაქოს მეურნეობა მეტად ხელსაყრელია კოლმეურნეთათვის. ყოველივე ეს მთელი სერიოზულობით აყენებს საკითხს, რომ ამ კულტურას განსაკუთრებული ყურადღება მიეპყროს. მაგრამ ზოგან ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ სათანადოდ არა აქვთ შეგნებული.

თამბაქოს სამუშაოებში მოსავლის აღება და გაშრობა მეტად პასუხსაგები საქმეა. ამ სამუშაოთა წარმატებაზე დამოკიდებულია თამბაქოს უდანაკარგოდ აღება და ხარისხის გაუმჯობესება. თითქმის ყველა რაიონში თამბაქოს მოსავლის აღებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, იგი თვითმდინარებაზეა მიდებული. ამაში გვარწმუნებენ ფაქტები. 1 სექტემბრისათვის გურჯაანის რაიონს თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 13 პროცენტით, სიღნაღისას—31,5-ით, ლუქსემბურგისას—38,4-ით, ჩოხატაურისას—40 პროცენტით. ჩამორჩენილთა რიგებს „ამშვენებენ“ აგრეთვე ლაგოდეხის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკებიც.

სამარცხვინოა ის მდგომარეობა, რომ თამბაქოს შეტეხა ჯერჯერობით შარშანდელზე უარესად მიმდინარეობს. შარშან 1 სექტემბრისათვის თამბაქოს შეტეხის რესპუბლიკური გეგმა შესრულებული იყო 61,6 პროცენტით. განა დამაფიქრებელი არ არის, რომ შარშან გურჯაანის რაიონში 1 სექტემბრისათვის შეტეხილი იყო 792.616 ზონარ-მეტრი თამბაქო, წელს კი 143.138 ზონარ-მეტრი? ლაგოდეხის რაიონში შარშანდელთან შედარებით 1 სექტემბრისათვის თამბაქო შეტეხილი იყო 2.082.742 ზონარ-მეტრით ნაკლები. იბადება კითხვა, რას ფიქრობენ გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიკომების მდივნები და რაიალმასკომების თავმჯდომარეები?

ლაგოდეხის, სიღნაღის, გურჯაანისა და ლუქსემბურგის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები თამბაქოს კარგ მოვლა-დამუშავებას ვერ დაიკვეხნიან. მოსავლიანობა ასეთი უდარდელი დამოკიდებულება ხომ აშკარად ჩაფუშვას უქადის თამბაქოს დამზადების გეგმებს. ამ რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა საჭირო დასკვნა უნდა გამოიყვანონ შექმნილი მდგომარეობიდან და სასწრაფოდ გამოასწორონ ნაკლოვანებანი.

ადგილებზე მომუშავე ზოგიერთი მუშაკი ცდილობს თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობიდან და ჩამორჩენას იმით ხსნის, რომ მუშა-ხელი მოსავლის აღებაზე გვყავდა დაბანდებული, ამჟამად კი ხვნასა და ლეწვაზეა. ეს აშკარად ოპორტუნისტული მსჯელობაა. ოპერატიული ხელმძღვანელობის ხელოვნებაა—ისე გავანაწილოთ ძალები, რომ არ დავუშვათ არცერთი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ჩამორჩენა. აი რა უნდა იქნას მტკიცედ გათვალისწინებული.

ბევრგან ვხედებით თამბაქოს დანაკარგებს. თამბაქო დროზე აუღებლობით იწვის. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს ყვარლის, ლუქსემბურგისა და გურჯაანის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში. სჩანს, ივიწყებენ, რომ თამბაქოს დანაკარგები არა მარტო მოქმედებს დამზადებათა წლიური გეგმის შესრულებაზე, არამედ კოლმეურნეობისა და კოლმეურნის შემოსავალსაც ამცირებს.

წელს უნდა დამზადდეს 17.000 ტონა თამბაქო. არ კმარა გეგმების მარტო რაოდენობრივად შესრულება. მაგრად უნდა დავაწვეთ თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებას, სტანდარტის მტკიცედ დაცვას.

ხალხის უსაზღვრესმა მტრებმა, თვალთმაქცებმა—მათიკაშვილმა და სხვებმა დიდი ზიანი მოგვაყენეს სოფლის მეურნეობის ამ დარგში.

მავნებლურ - დივერსიული შუშაობის გაკვეთილი მეთამბაქოობაში აქაოქ ჯერ კიდევ სერიოზულად არ არის გათვალისწინებული. ეს სჩანს თამბაქოს საშრობი ფარდულების მშენებლობის კუს ტემპებიდან. მაგალითად, სიღნაღის რაიონში ახალი ფარდულების მშენებლობის გეგმა 20 აგვისტოსათვის შესრულებული იყო 6 პროცენტით, ლუქსემბურგისაში—20,6 პროცენტით. ყვარლის რაიონში გეგმით 24 თვალი ახალი ფარდული უნდა ააშენონ. ფაქტიურად 19 თვალის მშენებლობა არის დაწყებული და არცერთი არ დაუმთავრებიათ. კოლმეურნეობებს სახელმწიფო აძლევს კრედიტს ფარდულების ასაგებად, მაგრამ ამ კრედიტებს სხვა საქმეზე იყენებენ. ასე ხდება, მაგალითად ყვარლის რაიონში. ყოველივე ეს იმით იხსნება, რომ რაიმიწგანება განზე უდგანან ფარდულების მშენებლობას და ამ საქმეს მეთვალყურეობა დაკისრებული აქვთ მეორეხარისხოვან მუშაკებს.

ოქტომბერში უნდა გაიშალოს თამბაქოს დამზადება. ამთავითვე უნდა გაჩაღდეს მუშაობა 'მიმღები პუნქტების სრულ წესრიგში მოსაყვანად, მაგრამ ბევრგან ამას ვერ ვამჩნევთ. არის სიგნალი, რომ აჭარის ასს რესპუბლიკაში რატომღაც ეს სამუშაო ნაადრევად მიაჩნიათ და ხელსაც არ ანძრევენ ამ საკითხის დროულად მოგვარებისათვის. „საქთამბაქონდლეულის“ ახალ ხელმძღვანელობას მეტი ოპერატიულობა მოეთხოვება ამ საქმეში. დროა ვისწავლოთ თამბაქოს კულტურული დამზადება.

ბოლო ნოვეულოთ უდარდელობას, სამარცხვინო ჩამორჩენას თამბაქოს სამუშაოებში. საამისოდ ყველა პირობა მოგვეპოვება. უნდა მოვაგონოთ შეთამბაქოობის რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებს, რომ პარტიულ-პოლიტიკური საკითხებისაკენ მობრუნება სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისაგან როდი ანთავისუფლებს მათ.

დანაკლისი დაფარულია

(ტელეგრაფით ჭიათურიდან)

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მესამე კვარტალის პირველი ორი თვის — ივლისისა და აგვისტოს გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა წლის პირველი ნახევრის დანაკლისის დაფარვას, შესრულებულია 100,3 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 308.566 ტონა მარგანეცის საექსპორტო პროდუქციის ნაცვლად დამზადებულია 309.574 ტონა. აგვისტოს გეგმა კი შესრულებულია 105,5 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 151.300 ტონის ნაცვლად დამზადებულია 159.703 ტონა.

უმაღლესი ხარისხის 52-პროცენტიანი მარგანეცის მადნის დამზადების წლიური გეგმა რვა თვის განმავლობაში შესრულებულია 113,5 პროცენტით, — ნაცვლად წლიური სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ 350.000 ტონისა, რვა თვის განმავლობაში დამზადებულია 407.292 ტონა.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი ზ. კალმახელიძე.
მარგანტრესტის მმართველი ს. ჩაკვეტაძე.
რაიალმასკომის თავმჯდომარე ა. ჩაჩანიძე.

◇ ◇ ◇

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

„საქჩაის“ 1 სექტემბრის ცნობებით

მეურნეობების დასახელება	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან ტონობით	ავგისტოში მოკრეფილია ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტობით
ხალიბაური	285,5	78,2	92,1	100,9
ჩაქვი	1.156,5	334,8	85,3	90,1
ოჩხამური	690	220,3	71,3	57,1
ლაითური	625,0	211,6	77,6	71,7
ნასაკირალი	485,6	161,7	86,8	94,5
წულუკიძე	127,6	41,8	91,8	110,0
ლესიჭინი	95	32,5	100,0	134,3
დიდი-ჭყონი	297,3	98,7	76,8	68,6
ნარაზენი	440,9	144,0	74,0	63,0
ჯოლევიანი	284,0	91,5	109,3	171,3
წალენჯიხა	159,1	71,8	61,2	50,7
აჩიგვარა	285,5	110,4	89,2	103,7
კოდორი	114,7	42,6	108,2	160,7
სულ	4996,7	1639,9	81,6	79,6
1936 წლის 1 სექტემბერს იყო	4.098,9	1.182,1	91,1	96,2

ჩაის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის (ანასეული) საცდელ ნაკვეთებზე მოკრეფილია სეზონის დასაწყისიდან 178,3 ტონა ჩაის ფოთოლი, აგვისტოში—58,8 ტონა. წლიური გეგმა შესრულებულია 89,1 პროცენტით, აგვისტოში—102,3 პროცენტით.

მისალმება ამხანაგ სტალინს

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 2000 სტახანოველის კრებისაგან

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ორი ათასი სტახანოველის კრება მხურვალე სალამს გითვლით თქვენ, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, სოციალიზმის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, სტახანოველთა მშობლიურ მამას!

სტახანოვური მოძრაობა, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის მიერ ნალოლიავები და თქვენ მიერ, ამხანაგო სტალინ, მაღლა აღმართული, სწრაფად გავრცელდა მთელს ჩვენს ქვეყანაში და ძვალსა და რბილში გაუჯდა სოციალისტურ სახალხო მეურნეობას.

სტახანოვური მოძრაობა შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში, რომელიც თავისუფალია კაპიტალისტური მონობის ბორკილებისაგან, ქვეყანაში, სადაც შრომა წარმოადგენს ღირსების, სიმამაცისა და გმირობის საქმეს, სადაც მხოლოდ პირადი ნიჭი და პირადი შრომა თვითეული მოქალაქისა სამშობლოს სასარგებლოდ განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენი სიტყვები, ამხანაგო სტალინ, რომ „სოციალიზმმა შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ შრომის მაღალი ნაყოფიერების ბაზაზე, უფრო მაღალი ნაყოფიერებისა, ვიდრე კაპიტალიზმის დროს არის, პროდუქტთა და მოხმარების ყოველგვარ საგანთა სიუხვის ბაზაზე, საზოგადოების ყველა წევრის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ბაზაზე“.

ჩვენ ვიცით, რომ ტექნიკის პროგრესი კაპიტალიზმის დროს — მშრომელი მასებისათვის ახალ გაჭირვებათა წყაროა. სოციალისტური ტექნიკა — მშრომელთა შეძლებული, ბედნიერი და სახიხარული ცხოვრების მშენებლობის მძლავრი იარაღია.

აი რატომ არის, რომ სოციალიზმის ქვეყნის ადამიანები ასეთი შეუპოვრობით ეუფლებიან ტექნიკას. აი რატომ არის, რომ ჩვენი სტახანოვური მოძრაობა ფართოდ მიდის წინ, მოიცავს მშრომელთა სულ ახალ-ახალ ფენებს და ამზადებს პირობებს გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირების საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

აღნიშნავს რა სტახანოვური მოძრაობის მეორე წლის თავს, ჩვენი მშვენიერი სამშობლო უკვე მილიონობით ითვლის სტალინის მიერ გამოზრდილ სტახანოველებს, რომელთაც აითვისეს ახალი ნორმები, რომელთაც უკან მოიტოვეს სტახანოვური მოძრაობის სახელოვან ინიციატორთა პირველი რეკორდები და რომელნიც გზას იკაფავენ სოციალისტური ტექნიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავებისაკენ და პროდუქტთა სრული სიუხვისაკენ.

ფაშიზმის საზიზღარი დაქირავებული აგენტები, — ტროცკისტ - ზინოვიეველ - ბუხარინელი და სხვა მავნებლები, ჯაშუშები და დივერსანტები ცდილობდნენ ჩაეშალათ სტახანოვური მოძრაობა, რისთვისაც ანვითარებდნენ ზღვრების თეორიებს, ფუშავდნენ საქარხნო გეგმებს, ორევდარევა შეჰქონდათ ქარხნების მომარაგებაში, არ ერიდებოდნენ საუკეთესო სტახანოველთა მოკვლასაც კი, მათ უნდათ აღადგინონ კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში, დაუმონონ ჩვენი სამშობლო მემამულეებს და მეფაბრიკეებს.

ერთმუშა უბადრუკმა არამზადებმა ვერ შესძლეს შეეჩერებინათ და ვერასოდეს შესძლებენ შეაჩერონ სოციალიზმს ქვეყნის ძლევამოსილი მსვლელობა, გადაახვევინონ სსრ კავშირის მშრომელებს ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენები გზიდან.

სახელოვანი ჩეკისტები და მათი მებრძოლი ხელმძღვანელი ამხ. ეიოვი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი, ამხანაგო სტალინ, უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით სპობენ ფაშისტურ ნაბოლარათა ნაშთებს ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის მშრომელნი მტრების საზიზღარი ხრიკების პასუხად კიდევ უფრო აძლიერებენ სიფხიზლეს, ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და აქტიურად ემზადებიან უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის ახალი სტალინური კონსტიტუციის მიხედვით.

დიდი სოციალისტური რევოლუციის წლისთავს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სტახანოველები დიდი გამარჯვებებით ხვდებიან. მაგრამ ჩვენ ვიცით, ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენ მიერ ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ყველაფერი გაკეთებული, რათა ბოლშევიკურად შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის მიერ დასმული ამოცანები.

დღეს, სტახანოვური მოძრაობის მეორე წლისთავზე, მოწოდებით მივმართავთ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოთა სტახანოველებს, დამკვრელებს, ყველა მუშასა და მუშა-ქალს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს — მოსპონ ნაკლოვანებანი ჩვენს მუშაობაში, ღირსეულად შეხვდნენ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავს.

ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ, ამხანაგო სტალინ, მოვსპოთ მავნებლობის შედეგები ჩვენს ქარხნებში და, სტახანოვური მოძრაობის ცეცხლის გაღვივებით, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მეორე სტალინური ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმა.

ჩვენ შემდგომაც ულმობელად ვიბრძოლებთ ყველა მტრის წინააღმდეგ, გავსწმენდთ საბჭოთა მიწაწყალს ყველა ტროცკისტ - ბუხარინელი ქვეწარმავლისაგან და სოციალიზმის სხვა მტრებისაგან, კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ჩვენი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თქვენს გარშემო, ჩვენო მშობლიურო, დიდო ამხანაგო სტალინ, ჩვენ მაღლა ვატარებთ მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის დროშას წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს დიად სტახანოვურ მოძრაობას, რომელიც აჩქარებს გადასვლას სოციალიზმიდან კომუნიზმში!

გაუმარჯოს ჩვენს მუზღალიურ კარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს სოციალიზმის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, ჩვენს მეგობარსა და მასწავლებელს — ამხანაგ სტალინს!

ვრების ვრეზიდიუმი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

1 სექტემბერს მეამბოხეები ცდილობდნენ ესპინოს დე ენარესის ვენლით შეჭრილიყვნენ გვადალახარის ფრონტზე. იერიში მოგერიებულ იქნა მეამბოხეთათვის დიდი ზარალით.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარმა მოიგერია მეამბოხეთა იერიშები მედიანაზე. რესპუბლიკელებმა დაიკავეს ცორკის და სასულიერო სასწავლებლის შენობა ბელჩიტეში. გაფთრებული ბრძოლაა ქალაქის ქუჩებში. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს 45 ტყვე.

დიდი საჰაერო ბრძოლა გაიმართა რესპუბლიკელთა ავიაციასა და ფაშისტთა 50 თვითმფრინავს შორის. რესპუბლიკელებმა დაჰკარგეს სამი თვითმფრინავი, ფაშისტებმა — 12 თვითმფრინავი.

„პარი სუარის“ ცნობით, მეამბოხეებმა, რათა შეესუსტებინათ რესპუბლიკელთა ჯარების შეტევა სარაგოსზე, რომელსაც ელყოს შემორტყმა ემუქრება, უკანასკნელი კვირის განმავლობაში არაგონიის ფრონტზე გაგზავნეს დამხმარე ძალები 60 ათასი კაცის რაოდენობით.

სამხრეთის ფრონტი

„დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, გრენადის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარმა მიიტანა უეცარი იერიში და წინ წაიწია სამი კილომეტრით.

კორდოვის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარები დიდ შეტევას ანვითარებენ. პენიაროიის სექტორში (პოსობლანკოს სამხრეთ-დასავლეთით) რესპუბლიკელთა ჯარმა მოიგერია მეამბოხეთა იერიში და დაიკავა ნავალკარასოს ქედები, რითაც შეექმნა შესაძლებლობა შემდგომში წინსვლისათვის ფუენტე ოვეხუნასაკენ (პენიაროის სამხრეთ-დასავლეთით). ამავამად რესპუბლიკელთა ჯარები იმყოფებიან ამ პუნქტიდან 3 კილომეტრის მანძილზე. რესპუბლიკელთა მეორე კოლონამ დაიკავა ალდეა დე კუენკა ბადახოსის პროვინციის საზღვარზე. ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიწყეს შეტევა ვალსეკილიოს რაიონში (პოსობლანკოს დასავლეთით) და იმყოფებიან პენიაროიდან 5 კილომეტრის მანძილზე.

მეამბოხეთა ჯარმა დასტოვა კორტიხო დე მასაგრანდე და უკან დახია მაღლობებზე, რომლებიც გარს არტყია ამ პუნქტს.

○

ჰავასის სააგენტოს ცნობით, 1 სექტემბერს ფაშისტთა სამი ჰიდროპლანი ყუმბარებს უშენდა კატალონიის სანაპიროს, განსაკუთრებით პორტბუს. ჰიდროპლანებმა დაანგრიეს 12 სახლი და რამდენიმე ლიანდაგი რკინიგზის სადგურის მახლობლად. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე საავტომობილო პარკს და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის შენობებს. ადამიანთა მსხვერპლი არ არის.

იარაღის ფარული საწყობები

ვალენსია, 2 სექტემბერი (საქდესი). პოლიციამ ბარსელონაში აღმოაჩინა ხელით სასროლი ყუმბარების, ნაღმტყორცნებისა და სხვა იარაღის საწყობი. დაპატიმრებულია 17 კაცი.

მადრიდში პოლიციამ ბევრ კერძო ბინაზე აღმოაჩინა ფაშისტების მიერ დამალული ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ნივთები.

ესპანეთის რესპუბლიკური არმიის სამხედრო-საინჟინერო ნაწილების მეთაურები.

ეერთი ზონა ზვირთით 12.000 მეზრის სიმაღლეზე

ამხ. მ. ალექსეევის შესანიშნავი გაფრენა

გუშინ მოსკოველებმა კვლავ ნახეს იშვიათად ლამაზი სანახაობა — მიწიდან ფრინარი თვითმფრინავი ლურჯ ცაზე ხატავდა უცნაურ თეთრ ზოლს. ეს ცნობილი მფრინავი მ. ი. ალექსეევი თვითმფრინავ „ანტ-40“-ით აფრინდა სიმაღლეზე ერთი ტონა ტვირთით. ჩვენი სახელოვანი მფრინავების პლეადაში, რომლებიც სიმაღლეზე ფრინავენ, ამხ. ალექსეევს თვალსაჩინო ადგილი უკავია. ახალი თვითმფრინავების გამოცდისას, იგი არაერთხელ აფრენილა 8-9-10 ათას მეტრ სიმაღლეზე. შარშან, მიფრინავდა რა ერთი ტონა ტვირთით, მან მიაღწია 12.695 მეტრ სიმაღლეს და ამგვარად დიდად გადაჭარბა საერთაშორისო რეკორდს. მაგრამ ეს შედეგი ოფიციალურად არ ყოფილა რეგისტრირებული საზოგადოებრივ ხელაფყოების მოუწესრიგებლობის გამო.

გუშინ, დღის 3 საათზე, სასპორტო კომისრის თანდასწრებით დაიწყო სტარტისათვის მომზადების პროცედურა.

15 საათსა და 37 წუთზე რამდენიმე წამის გარბენის შემდეგ თვითმფრინავი ადგილად მოსწყდა მიწას. მფრინავმა ერთბაშად აიღო სიმაღლე. მთელი გაფრენა გრძელდებოდა 1 საათსა და 46 წუთს. გაფრენა მოხდა ორმოტორიან თვითმფრინავ „ანტ-40“-ით. თვითმფრინავი კონსტრუირებულია ინჟინერ არხანგელსკის მიერ ამხ. ტუპოლევის ხელმძღვანელობით.

წინასწარი ცნობებით, გუშინდელი გაფრენის დროს ამხ. ალექსეევმა მიაღწია 12 ათას მეტრზე მეტ სიმაღლეს. როგორც ვიცით, ერთი ტონა ტვირთით სიმაღლეზე აფრენის ოფიციალური რეკორდი ეკუთვნის მეორე საბჭოთა მფრინავს — სიმაღლეზე აფრენის ოსტატს ამხ. კოკინაკის, რომელმაც 1936 წ. 26 ივლისს მიაღწია 11.402 მეტრ სიმაღლეს.

მასალა ამხ. მ. ალექსეევის შესანიშნავი გაფრენის შესახებ განსახილველად გადაეცემა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციას.

სსრ კავშირის მიწსახკომის განმარტება

სსრ კავშირის მიწსახკომი განმარტავს, რომ კერძო პირთა მიზიდვა საკოლმეურნეო პროდუქციის გასასყიდად ბაზრებზე ეწინააღმდეგება სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას. წესდების თანახმად, ყველა სამუშაო კოლმეურნეობაში სრულდება მისი წევრების პირადი შრომით. კოლმეურნეობებს მუშაკებად შეუძლიათ დაიქირაოს მხოლოდ სპეციალისტები (აგრონომები, მოაწგარეშენები) ან დროებითი მუშები სასოფლო - სამეურნეო და საოლმშენებლო სამუშაოებისათვის, მაგრამ არა გამყიდველები.

კერძო პირთა მიზიდვა საკოლმეურნეო დუქნებში, კარვებსა და ფარდულებში სამუშაოდ დაუშვებელია იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ კოლმეურნეობის ფირმა სასპეკულაციო მიზნებისათვის.

ამ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობას არ შეუძლია გამოჰყოს თავისი წევრები საკოლმეურნეო პროდუქციის გასასყიდად ბაზარში, მას შეუძლია ამ პროდუქციის რეალიზაცია მიანდოს კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას (საქდესი).

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი სოციალისტური პარტიის აღმასკომს

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი (საქდესი). კომუნისტურმა „დეილი უორკერმა“ გამოაქვეყნა ამერიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი სოციალისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტისადმი. ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ „ამერიკის კომუნისტური პარტიის ძირითადი პოლიტიკური ხაზი იყო და არის ბრძოლა მუშათა კლასის ერთიანობისა და პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობისათვის“. „ყველაზე მნიშვნელოვანი, განაგრძობს წერილი, არის „ბრძოლა ერთიანი ფრონტისა და ამერიკის სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს შორის ნამდვილი ორგანიული ერთიანობისათვის“.

წერილი მოუწოდებს ამერიკის სოციალისტებს ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ამერიკის მუშათა პარტიას მომავალი მუნიციპალური არჩევნების დროს ნიუ-იორკში, აგრეთვე მხარი დაუჭირონ ესპანეთისა და ჩინეთის ხალხებს მათს ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს აგრეთვე, განაგრძონ სოციალისტური პარტიის წმენდა ტროცკისტებისაგან.

რობერტ მაინორი ტროცკისტ ბანდიტთა ძირგამომთხრელი მუშაობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვალენსია, 3 სექტემბერი (საქდესი). რობერტ მაინორმა, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ც. კ-ის წევრმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს ბარსელონაში აღნიშნა, რომ ტროცკისტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გააჩაღეს კამპანია ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ტროცკისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან ცოტანი არიან. მაგრამ ტროცკის მხარს უჭერენ გერმანული და იაპონური ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ჯაშუშობას. ტროცკისტული კამპანია სავსებით ემთხვევა ფაშისტური პრესის კამპანიას, რომელშიც ტროცკი გაძლიერებით თანამშრომლობს ტროცკისტებმა განავითარეს თავისი საქმიანობა სოციალისტურ პარტიაში და ფაშისტურ პრესას აწვდიან სტატიებს ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ. მათ მიზანს ესპანეთში წარმოადგენს მიაღწიონ იმას, რომ ფაშისტურ - ტროცკისტული პუტჩის მეთაურებმა ბარსელონაში შესძლონ თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელება.

ჩასძირეს საბჭოთა გემი „ბლაგოევი“

ათინა, 3 სექტემბერი (საქდესი). 1 სექტემბერს, 6 საათსა და 30 წუთზე, ეგეოსის ზღვაში, სკიროსის კუნძულიდან 15 მილის მანძილზე, წყალქვეშა ნავმა, რომელზედაც ფრანკოს დროშა იყო აღმართული, გაუფრთხილებლად ჩასძირა საბჭოთა გემი „ბლაგოევი“. გემს საფრანგეთის ნავსადგურში მიჰქონდა ასფალტის (პეკის) ტვირთი, ეკიპაჟი გადარჩა ნავების საშუალებით; იგი აიყვანა საბერძნეთის გემმა „ადიოს ნიკოლაოსმა“. ერთი მატროსი მოკლულია, იგი დაკრძალეს სკიროსის კუნძულზე. ჩაძირვის ადგილზე ათინიდან მივიდნენ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წარმომადგენლები. მიღებულია ზომები კომანდის გასაგზავნად სამშობლოში.

თავდაცვის სესხის რეალიზაცია საქართველოში

გავრცელებულია 11.725.000 მანეთით მეტი ვიდრე შარშან.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის გავრცელებაში უდიდესი ენტუზიაზმის გამოჩენით საქართველოს მშრომელებმა დაამტკიცეს მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება თავისი სამშობლოსადმი და მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. ღრმა და განუზომელია მშრომელთა ზიზღი ხალხის მტრებისადმი, იაპონელ, გერმანელ, ტროცკისტ - ბუხარინელ და სხვა ჯურის ფაშისტ-მავნებლებისადმი, დივერსანტებისა და ჯაშუშებისადმი.

საქართველოს 817.107 მშრომელი, მათ შორის 448.750 კოლმეურნე გახდა სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციის მქონე. ეს ციფრი 117.000-ით აჭარბებს შარშანდელს. საქართველოს მშრომელებმა 1 სექტემბრისათვის ხელი მოაწერეს თავდაცვის განმტკიცების სესხს 90.023.000 მანეთის თანხაზე, ანუ 11.725.000 მანეთით მეტზე, ვიდრე შარშან.

საქართველოს 42 რაიონმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა სესხზე ხელმოწერის შარშანდელ თანხას. აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ქუთაისის, მახარაძის, ფოთის, სამტრედიის, ხაშურის, ჭიათურისა და სხვა რაიონები მოწინავენი არიან თავდაცვის სესხზე ხელმოწერაში.

განსაკუთრებით კარგად ჩატარდა სესხზე ხელმოწერა, ორდენოსანი საქართველოს დედა-ქალაქში — თბილისში. დედა-ქალაქის მშრომელებმა სოციალისტურ სახელმწიფოს სესხად მისცეს თავდაცვის განსამტკიცებლად 33.067.000 მანეთის სესხი. შარშან კი გავრცელებული იყო 27.714.000 მანეთისა. ამგვარად თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები თბილისის მშრომელებმა 5.353.000 მანეთით მეტი შეიძინეს ვიდრე შარშან.

საპროტესტო მიტინგი თბილისის ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში — ესპანელ მეამბოხეთა მიერ საბჭოთა სავაჭრო გემ „ტიმირიაზევის“ ჩაძირვის წინააღმდეგ.
ფოტო ფ. გინზბურგისა („სოიუზფოტოს“ ხაჭ. განყ.)

დაპირცვათ ჩვენი სავაჭრო ფლოტი გამხეცებულ ფაშისტ-პირატებისაგან

მძლავრი წითელი ავიაცია სსრ კავშირის საზღვრების სადარაჯოზე

თავზეხელაღებული და გათავხედებული ფაშისტი ყაჩაღები, რომლებმაც საბოლოოდ აიშვეს თავი და ზომიერების ყოველგვარი გრძნობა დაჰკარგეს, ცდილობენ პროვოკაციულად მესცველონ მშვიდობიანობა ომით, მილიონობით ადამიანები დაჰღუპონ, ადამიანთა ხისლის ტბები დააყენონ.

დეე, იცოდნენ ფაშისტმა პირატებმა, რომ თუ საჭირო იქნება, საბჭოთა ხალხი, ბოლშევიკების პარტიისა და დიდი სტალინის მიერ აღზრდილი, როგორც ერთი კაცი, გამოვა თავის სამშობლოს დასაცავად.

დეე, იცოდნენ ფაშისტებმა, რომ ჩვენი მძლავრი უძლეველი ავიაცია დგას საზღვრების სადარაჯოზე. იგი არა თუ არცერთ მტრულ თვითმფრინავს არ მისცემს ჩვენს საზღვრებზე გადმოფრენის ნებას, არამედ ინტერვენტების ესკადრილიებს მოსპობს მათსავე ტერიტორიაზე.

დეე, იცოდნენ ფაშისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა, რომ ჰაერით მოსკოვიდან მათ დედაქალაქებამდე ბევრად უფრო მოკლე მანძილია, ვიდრე მათი დედაქალაქებიდან მოსკოვამდე.

მფრინავთა ოჯახი, რომელმაც თავისი წრიდან წამოაყენა საბჭოთა კავშირის არა ერთი, ათეული გმირები, რომლებმაც ბევრი მაოფლიო და საერთაშორისო რეკორდი დაამყარა და დაიპყრო არქტიკა, ყოველგვარ ბრძოლაში აღმოჩნდება სტალინური ნდობის ღირსი.

საბჭოთა კავშირის გმირი
პოლკოვნიკი ვ. პ. ჩკალოვი

„კარჭიის პირველ დაძახებისთანავე ალვდგებით ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად“

ფაშისტ პირატების მიერ საბჭოთა თბომავლის „ტიმირიაზევის“ ჩაძირვის ამბავმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია საქართველოს სახკინმრეწვის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შორის.

„ფაშისტების პროვოკაციული გამოვლენით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არაერთხელ უცდიათ ომში ჩვენი ჩაბმა“,—ნათქვამია რეზოლუციაში,—„მაგრამ ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას ყოველთვის მხარს უჭერდა და უჭერს მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა, ეს პოლიტიკა გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევდა ფაშისტების ყველა და ყოველგვარ გამოსვლას, მიმართულს სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ“.

მიტინგზე გამოსულნი: ორდენოსანი რეჟისორი ამხ. ჭიაურელი, აქტიორები ბაღაშვილი, თომაძე და სხვები სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ გაცოფებულ ფაშისტ-პირატებსა და სთხოვდნენ საბჭოთა მთავრობას, მიიღოს უაღრესად ენერგიული ზომები საბჭოთა სავაჭრო გემების უშიშროებისა უზრუნველსაყოფად ექსტერიტორიულ წყლებში.

— დეე, იცოდნენ მტრებმა, რომ ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, მზად ვართ ჩვენი პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე აღვდგეთ დიადი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების დასაცავად და გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ ყოველ მტერს, საიდანაც უნდა გამოჩნდეს იგი,—აღვნიშნავს საქართველოს სახკინმრეწვის მუშაკთა ერთსულოვანი ხმა (საქდესი).

ფაშისტების ახალი ავაზაკობა მთელი პროგრესიული კაცობრიობის აღშფოთებას გამოიწვევს

(საუბარი წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისართან ნ. ი. პაპოვოვთან)

თბომავალი „ტიმირიაზევი“ საჭაჭრო გემია, რომელიც მიწერილია შავი ზღვის სანაოსნოზე. იგი აკეთებდა რეგულარულ რეისებს შავ ხმელთაშუა და სხვა ზღვებში. „ბალასტში (დაუტვირთავად) დაბრუნებისას, ჩვენს სავაჭრო გემებს, ცალიერი რომ არ წამოვიდნენ, ხშირად გზად მოაქვთ უცხოეთის ფირმების ტვირთი. ასე მოიქცა ამ შემთხვევაშიც თბომავალი „ტიმირიაზევი“.

17 აგვისტოს „ტიმირიაზევი“, ბრუნდებოდა რა ევროპიდან შავ ზღვაში, კარდიფიდან გაემართა პორტ-საიდისაკენ, თან მიქონდა 8.884 ტონა ქვანახშირი (კარდიფი—ინგლისი, პორტ-საიდი—ეგვიპტე).

თბომავალი აგებულია 1933 წელს ქალაქ ნიკოლაევში. მისი წყალწყვა — 3.118 ტონა. რაც შეეხება თბომავლის საუცხო კომანდას, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას: მთელი კომანდა კაპიტან ამხ. რინდიუკის მეთაურობით განირჩევა თავისი დისციპლინით, სიმტკიცითა და საქმის ერთგულებით. ეს შემოწმებულია იმ რეისების გამოცდილებით, რომლებსაც იგი ახდენდა კომერციული ტვირთის მისატანად უცხოეთის ნავსადგურებში.

კაპიტან რინდიუკის დამატებითი ცნობებით, ეკიპაჟის 29 კაციდან ორი ქალი აღმოჩნდა მსუბუქად დაჭრილი. თბომავლის ჩაძირვა აღიარის რაიონში, დელისის კონცხიდან ოთხნახევარი მილის დაშორებით, თითქმის საფრანგეთის ტერიტორიულ წყლებში, წარმოადგენს არა მარტო პირატობას, არამედ ავაზაკობასაც, რომელიც ყოველგვარ საზღვარს სცილდება. სავაჭრო გემს თავს დაესხა მტრული სახელმწიფოს სამხედრო ხომალდი უშუალოდ მეკამე ქვეყნის ნაპირებთან.

ცხადია ასეთ აქტს არ შეუძლია არ გამოიწვიოს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების, არამედ აგრეთვე მთელი პროგრესიული კაცობრიობა ღრმა აღშფოთება.

(„პრავდა“, 8 სექტემბერი, 37 წ.)

ლონდონი, 4 სექტემბერი (საქდესი).

ინგლისური გაზეთების უმეტესობაში დღეს მოთავსებულია მათი ათინელი კორესპონდენტების ცნობები, რომლებშიაც მოყვანილია გემ „ბლაგოევის“ ეკიპაჟის განცხადება, როგორც კორესპონდენტები აღნიშნავენ, ეკიპაჟმა განაცხადა, რომ წყალქვეშა ნავმა ჯერ გაისროლა ტორპედი, რომელიც გემს არ მოხვდა. შემდეგ ნავი გამოჩნდა წყლის ზედაპირზე და სროლა აუტეხა გემს. ნავზე მოსჩანდა ესპანელ ფაშისტ-მეამბოხეთა დროშა. გემ „ბლაგოევის“ კაპიტანმა გასცა ბრძანება ჩაეშვათ კანჯოები. ერთერთი კანჯო, რომელზეც იყვნენ გემის ეკიპაჟის წევრები, გაემართა წყალქვეშა ნავისაკენ, რათა წარედგინა გემის დოკუმენტები. გემის ერთერთი მეზღვაური თეთრ დროშას აფრიალებდა, მაგრამ წყალქვეშა ნავი, მიუხედავად ამისა, განაგრძობდა გემისათვის ყუმბარების დაშენას. შოკლულ იქნა გემის შესაბე. რამდენიმე წამის შემდეგ წყალქვეშა ნავმა გაისროლა მეორე ტორპედო, რომელიც მოხვდა გემს შუანაწილს. ამის შედეგად აფეთქდა ქვაბები. გემი შუაზე გადატყდა და მაშინვე ჩაიძირა. ამის შემდეგ წყალქვეშა ნავი ჩაეშვა წყალში და მიიმალა.

ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ XXIII ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 1937 Წ. 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ახალგაზრდობის XXIII საერთაშორისო დღისათვის მიძღვნილ დემონსტრაციაში მონაწილეობენ ყველა კომკავშირელები, მშრომელი ახალგაზრდობა, პიონერული, ფიზკულტურული, თავდაცვაავიაქიმის და სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები კავკასიის წითელდროშოვანი არმიის საშეფო ნაწილებთან ერთად.

საწარმო-დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლონებს წინ მიუძღვიან კომკავშირული პირველადი ორგანიზაციების მდივნები და კომორგები, რომელთაც ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა დროული შეკრებისა და კოლონის მსვლელობის დროს წესრიგისათვის.

რაიონის კოლონას წინ მიუძღვიან რაიონის კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები.

კოლონები მხატვრულად ფორმდება ლოზუნგებით, პლაკატებით, მაკეტებითა და დიაგრამებით, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და კომკავშირული ორგანიზაციების მიღწევებს ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების დარგში.

დაწესდეს შემდეგი „შესაკრები პუნქტები და კოლონების მოძრაობის მარშრუტები:

პიონერთა კოლონა დილის 8 საათსა და 30 წუთზე იკრიბება რუსთაველის პროსპექტზე და წინა ნაწილით დგება საქ. სსრ მთავრობის სასახლესთან.

ფიზკულტურელთა კოლონა დილის 8 საათზე იკრიბება ფიზკულტურის პარკთან, მიდის სანაპირო ქუჩით, ელბაქიძის აღმართით და წინა ნაწილით დგება პიონერთა კოლონის უკან.

ლენრაიონი რკინიგზელებთან ერთად დილის 9 საათზე იკრიბება საბჭოთა და მოლოკანთა ქუჩების კუთხეში. სრულ 9 საათსა და 30 წუთზე მიდის საბჭოთა ქუჩით, ეორესის ქუჩით და ელბაქიძის აღმართით იმ ვარაუდით, რომ სრული 10 საათისათვის რაიონის წინა კოლონა იყოს რუსთაველისა და ლენინის ქუჩების კუთხესთან.

სტალინის რაიონი დილის 9 საათზე იკრიბება ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკთან, სრულ 9 საათსა და 30 წუთზე მიდის პლეხანოვის პროსპექტით, ჩელუსკინელთა და ლენინის ქუჩებით და წინა ნაწილით დგება ელბაქიძისა და რუსთაველის ქუჩების კუთხეში.

26 კომისრის სახ. რაიონი 8 საათსა და 30 წუთზე იკრიბება კახეთის მოედანზე, 9 საათზე მიდის 19 თებერვლის ქუჩით, კარლ მარქსის ხიდით, სანაპირო ქუჩით და ელბაქიძის აღმართთან უცდის ლენინის რაიონის კოლონას.

კიროვის რაიონი 9 საათზე იკრიბება სანაპირო ქუჩაზე და მისდევს 26 კომისრის სახ. რაიონის კოლონას.

ორჯონიკიძის რაონი 9 საათზე იკრიბება სახელმწიფო უნივერსიტეტში, 9 საათსა და 30 წუთზე მიდის მელიქიშვილის ქუჩით და ჩერდება მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების კუთხეში.

სრულ 10 საათსა და 30 წუთზე იწყება კოლონების გავლა რუსთაველის პროსპექტით და მთავრობის ტრიბუნის წინ ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანზე.

გავლის წესი: პიონერთა კოლონა, ფიზკულტურელთა კოლონა, ლენინის რაიონი, სტალინის რაიონი, 26 კომ. სახ. რაიონი, კიროვის რაიონი და ორჯონიკიძის სახრაიონი.

ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანზე ტრიბუნის წინ გავლის შემდეგ კოლონები მიდიან სარეწაო კოოპერაციის ქუჩით და იშლებიან.

საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის მდივანი
შ. გუდავაძე

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი (საქდესი). გუშინ ნიუ-იორკის ბირჟებზე დარეგისტრირებული იყო იაპონიის ფასიანი ქაღალდების მხოლოდ რამდენიმე ოპერაცია. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა 2 სექტემბერს არ აწარმოებდა იაპონიისა და ჩინეთის საწარმოთა აქციების ოპერაციებს.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡᲨᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲨᲐᲜᲮᲐᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

შანხაი, 3 სექტემბერი (საქდესი). მდგომარეობა შანხაის ფრონტზე ასეთია: 3 ათასამდე იაპონელი ჯარისკაცი იმყოფება ლოდიანის რაიონში. ჩინეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს მათ სამი მხრიდან. მთელი რიგი გაატარებული ბრძოლების შემდეგ იაპონიის ჯარი დაიყო რამდენიმე ნაწილად. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩინეთის ჯარის პოზიციები შინცზელინის ფორტის, ბაოშანის და უსუნის ფორტის გასწვრივ მას შემდეგ, რაც 31 აგვისტოს იაპონელებმა უსუნის ჩრდილო-აღმოსავლეთით გზა მოუჭრეს ჩინეთის ჯარს. დამხმარე ძალების მისვლამ გაუმჯობესა მდგომარეობა. ამჟამად აქ თავმოყრილია ჩინელთა 3 დივიზია. იაპონიის ჯარმა უკან დაიხია ნაპირისაკენ.

ჩინეთის შტაბის ცნობებით, 31 აგვისტოს იაპონელებმა უსუნის ახლოს გადმოსხეს მეორე დესანტი — 2 ათასამდე ჯარისკაცი. ამან საშუალება მისცა იაპონელებს ხელში ჩაეგდოთ სოფელი უსუნი, რომელიც მათ დღემდე შეინარჩუნეს. 31 აგვისტოს სამმა ათეულმა ტორპედომ გადმოსხა იაპონიის ჯარი ტანგუ-ბეიში. ამ დმოტვირთა დიდძალი ყუმბარები და სხვ. იარაღი იანცზიპის რაიონში. იაპონიის ჯარების გადმოსხმას იანცზიპუში აფასებენ, როგორც იაპონიის სარდლობის უშედეგო ცდას გადმოეხსნა მოსული დამხმარე ძალები უსუნსა და ლუხეში. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში, განსაკუთრებით 2 სექტემბრის ღამით, იაპონიის ჯარმა რამდენიმე იერიში მიიტანა ჩრდილოეთის ვაგზლისა და ხიდის რაიონში (ჩაპეი). მაგრამ ეს იერიშები უშედეგოდ დამთავრდა. იაპონიის თვითმფრინაეთა რამდენიმე თავდასხმამ დიდი ნგრევა გამოიწვია ცზიადინში (უსუნის დასავლეთით), ნანსიანსა (შანხაი-ნანკინის რკინიგზაზე) და სხვა პუნქტებში. იაპონიის ავიაციამ მესამედ დაუშინა ყუმბარები რადიოსადგურს ჩენჟუში.

იაპონიის სარდლობის წარმომადგენლის განცხადებით, 3 სექტემბერს ღამით მოელიან იაპონიის ჯარების საერთო შეტევას ყველა ფრონტზე შანხაიში.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 სექტემბერი (საქდესი). გუშინ ნიუ-იორკის ბირჟებზე დარეგისტრირებული იყო იაპონიის ფასიანი ქაღალდების მხოლოდ რამ-

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲡᲫᲘᲠᲔᲡ ᲒᲔᲛᲘ „ᲑᲚᲐᲒᲝᲔᲕᲘ“

ლონდონი, 4 სექტემბერი (საქდესი). ინგლისური გაზეთების უმეტესობაში დღეს მოთავსებულია მათი ათინელი კორესპონდენტების ცნობები, რომლებშიაც მოყვანილია გემ „ბლაგოევის“ ეკიპაჟის განცხადება, როგორც კორესპონდენტები აღნიშნავენ, ეკიპაჟმა განაცხადა, რომ წყალქვეშა ნავმა ჯერ გაისროლა ტორპედო, რომელიც გემს არ მოხვდა. შემდეგ ნავი გამოჩნდა წყლის ზედაპირზე და სროლა აუტეხა გემს. ნავზე მოსჩანდა ესპანელ ფაშისტ-მეამბოხეთა დროშა. გემ „ბლაგოევის“ კაპიტანმა გასცა ბრძანება ჩაეშვათ კანჯოები. ერთერთი კანჯო, რომელზეც იყვნენ გემის ეკიპაჟის წევრები, გაემართა წყალქვეშა ნავისაკენ, რათა წარედგინა გემის დოკუმენტები. გემის ერთერთი მეზღვაური თეთრ დროშას აფრიალებდა, მაგრამ წყალქვეშა ნავი, მიუხედავად ამისა, განაგრძობდა გემისათვის ყუმბარების დაშენას. შოკლულ იქნა გემის შესაბე. რამდენიმე წამის შემდეგ წყალქვეშა ნავმა გაისროლა მეორე ტორპედო, რომელიც მოხვდა გემს შუანაწილს. ამის შედეგად აფეთქდა ქვაბები. გემი შუაზე გადატყდა და მაშინვე ჩაიძირა. ამის შემდეგ წყალქვეშა ნავი ჩაეშვა წყალში და მიიმალა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲡᲫᲘᲠᲔᲡ ᲒᲔᲛᲘ „ᲑᲚᲐᲒᲝᲔᲕᲘ“

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 4 სექტემბერი (საქდესი). ინგლისური გაზეთების უმეტესობაში დღეს მოთავსებულია მათი ათინელი კორესპონდენტების ცნობები, რომლებშიაც მოყვანილია გემ „ბლაგოევის“ ეკიპაჟის განცხადება, როგორც კორესპონდენტები აღნიშნავენ, ეკიპაჟმა განაცხადა, რომ წყალქვეშა ნავმა ჯერ გაისროლა ტორპედო, რომელიც გემს არ მოხვდა. შემდეგ ნავი გამოჩნდა წყლის ზედაპირზე და სროლა აუტეხა გემს. ნავზე მოსჩანდა ესპანელ ფაშისტ-მეამბოხეთა დროშა. გემ „ბლაგოევის“ კაპიტანმა გასცა ბრძანება ჩაეშვათ კანჯოები. ერთერთი კანჯო, რომელზეც იყვნენ გემის ეკიპაჟის წევრები, გაემართა წყალქვეშა ნავისაკენ, რათა წარედგინა გემის დოკუმენტები. გემის ერთერთი მეზღვაური თეთრ დროშას აფრიალებდა, მაგრამ წყალქვეშა ნავი, მიუხედავად ამისა, განაგრძობდა გემისათვის ყუმბარების დაშენას. შოკლულ იქნა გემის შესაბე. რამდენიმე წამის შემდეგ წყალქვეშა ნავმა გაისროლა მეორე ტორპედო, რომელიც მოხვდა გემს შუანაწილს. ამის შედეგად აფეთქდა ქვაბები. გემი შუაზე გადატყდა და მაშინვე ჩაიძირა. ამის შემდეგ წყალქვეშა ნავი ჩაეშვა წყალში და მიიმალა.

ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

პროფ. გ. წულუკიძე — საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთამადნო ხელოვნების კათედრის გამგე

მარგანეცის მრეწველობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალპროცენტიანი სასაქონლო პროდუქტის მიღებას, რასაც აღწევენ ამოღებული ნედლი მადნის სათანადო მექანიკური გამდიდრებით ე. წ. გამამდიდრებელ ფაბრიკებში.

გამდიდრებული მადნის ანუ კონცენტრატის ხარისხი მით უკეთესია, რაც უფრო წმინდა ნედლ მადანს ვაწვდით ფაბრიკას. მაღალპროცენტიანი ნედლი მადანი ამცირებს ლითონის დანაკარგს გამდიდრების პროცესში და ზრდის ფაბრიკის წაომადობას.

აღნიშნული გარემოება და ჭიათურის მარგანეცის თავისებური გეოლოგიური განლაგება მოითხოვს ამოღების მექანიზაციის საკითხის თავისებურ გადაწყვეტას.

მარგანეცის ფენი, უმეტეს შემთხვევაში, არ წარმოადგენს ერთ მთლიანს და წმინდა მადანს, არამედ შესდგება მთელი რიგი შრეებისაგან, რომელთა უმეტეს ნაწილს შეადგენს სხვადასხვა ხარისხის მადანი, ხოლო ღანარჩენს ფუჭი ქანი, რომელიც ერევა გამოღებულ ნედლ მადანში და აუარესებს მის ხარისხს. ამ-კომ საჭიროა ამოსაღებ სამუშაოთა ისე წარმოება, რომ ფუჭი ქანის გამოყოფა სანგრევშივე შეიძლებოდეს.

მარგანეცის ფენის შრეები განლაგებული არიან ერთმეორის პარალელურად, რის გამო ზემოაღნიშნული ეფექტის მისაღწევად, საჭიროა შრეების ცალცალკე მონგრევა (ერთიმეორის შემდეგ).

მარგანეცის მონგრევის მექანიზაციაზე გადასვლისას საჭირო იყო ისეთი მექანიზმების გამოყენება, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა მარგანეცის შრეობრივი გამოღება. ასეთ მექანიზმებს წარმოადგენენ მძიმე ტიპის საყელავი მანქანები — სანგრევის გაყელვისათვის, და პნევმატური სანგრევი უროები— გაყელვილი მარგანეცის შემდგომი მონგრევისათვის (წერაქვის და სოლების ნაცვლად).

სწორედ ასე იყო იმთავითვე დაპროექტებული მარგანეცის მონგრევის მექანიზაცია.

სამწუხაროდ, ამ საკითხის პრაქტიკულმა გადაწყვეტამ საგრძნობლად დაიგვიანა იმის გამო, რომ ტრესტმა ვერ აწარმოვა შესაფერისი ცდები.

მართალია, საყელავი მანქანები უკვე 1932 წლიდან შეძენილი იქნა დიდი რაოდენობით, მაგრამ მათი გამოყენება თანდათან კლებულობდა, ხოლო 1936 წლის მარტში ყველა საყელავი მანქანა (გარდა ორიოდესი, რომლებიც მუშაობენ შედარებით უმნიშვნელო სამუშაოებზე და ისიც სპორადულად) ტრესტმა შეჭკრიბა თავის მთავარ სახელოსნოში, დაარემონტა და, რამდენადაც ვიცით, განზრახულია ჭონდა მათი გაყიდვა.

დღემდე საყელავი მანქანების ცუდი მუშაობის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ტრესტმა, საყელავი მანქანების მუშაობასთან ერთად, ვერ გაითვალისწინა სანგრევი უროების მუშაობის აუცილებლობა. გაყელვილ მადანს ტრესტი სანგრევ უროთი კი არ ანგრევდა, არამედ აფეთქებდა და, ვინაიდან აფეთქება შესაძლო იყო სანგრევის გაუყელავადაც, ამიტომ ტრესტის მთელი ყურადღება მიმართული იქნა სწორედ ასაფეთქებელ სამუშაოთა მოწესრიგებაზე. სანგრევი უროებით მუშაობა ტრესტს ცდების საზითაც არ უწარმოებია.

მეორე მიზეზი დაკავშირებული იყო სანგრევის გაყელვის სიძნელესთან, ვინაიდან გაყელვას აწარმოებდნენ სანგრევის ძირში, სადაც ხშირად ხვდება მაგარი ჩანართები, რომელნიც ყელვის პროცესს ძლიერ აბრკოლებენ.

აღნიშნულმა მიზეზებმა ტრესტი აიძულა მთლად აეღო ხელი სანგრევის წინასწარ გაყელვაზე და გადასულიყო მარგანეცის გამოღებაზე მარტო ლაღუმის საშუალებით.

მაგრამ ლაღუმით მუშაობა მაღაროს წარმადობის გადიდების მხრივ ვერ იძლევა საკმაოდ კარგ შედეგებს: წმენდითი სანგრევის წინწაწევა ერთ აფეთქებაზე არ აღემატება 0,6-0,8 მეტრს (იშვიათ შემთხვევებში აღწევს 1,0 მეტრს), ვინაიდან ანაფეთქ პროდუქტებისაგან სანგრევის გაწმენდა ჩვეულებრივ დიდ დროს მოითხოვს.

ლაღუმით მუშაობა მაქსიმალურად აფუჭებს მონგრეული მარგანეცის ხარისხს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფენში ბევრი ფუჭი ქანია: აფეთქებული მასიდან ფუჭი ქანის გადარჩევა ძლიერ ძნელია. გარდა ამისა, აფეთქება სანგრევის წინასწარ გაუყელავად მეტად აზიანებს ჭერს, იწვევს მის ხშირ ჩამოქცევას და სამუშაოთა შეჩერებას.

მეორე დიდმნიშვნელოვანი საკითხი მარგანეცის გამოღების მექანიზაციის დარგში არის მონგრეული მადნის დატვირთვა და ლავიდან საზიდ მატრაკამდე გაზიდვა.

ამჟამად მარგანეცს ვაგონეტებში ტვირთავენ ხელით. ამისათვის საჭიროა ლიანდაგის ყოველდღიურად გადაგება, რაც ხშირად აფერხებს მარგანეცის გაზიდვას.

ჭიათურაში სცადეს მუშაობა რხევითი ტიპის და ლენტიანი კონვეიერებით, აგრეთვე სკრეპერებით. რხევითი ტიპის კონვეიერი არ გამოდგა მარგანეცის სწრაფად მიკვრის გამო კონვეიერის ღარებზე. ლენტიანი ტრანსპორტერები საკმაოდ კარგად მუშაობენ, მაგრამ ძლიერ ძვირად დაუჯდათ, ვინაიდან რეზინის ლენტი ჩქარა ცვდება. გარდა ამისა, ტრანსპორტერის ყოველდღე გადადგმა ლავაში ბევრ მუშახელს მოითხოვს.

ყველაზე უფრო დიდხანს გაგრძელდა ცდები სკრეპერებზე. ერთ შემთხვევაში (რვანში) შედეგიც საკმაოდ კარგი მიიღეს, მაგრამ მალე ამაზედაც უარი სთქვეს, ალბათ იმიტომ, რომ ძნელი იყო სკრეპერის გადათავსება სატვირთავი ბაქნის ახალ ადგილზე. გარდა ამისა, საჭირო იყო მარგანეცის გადანიჩბვა სანგრევიდან სასკრეპერო გზაზე, ხოლო თვით სკრეპერი უნივერსალური ტიპისა იყო (შტრეკში მოსახვევი), მანძილიც დიდი ჰქონდა გასტელელი და ამიტომ მისი ნაყოფიერება მცირე იყო.

ამნაირად, ჭიათურაში ვერ გავრცელდა მექანიზებული ტვირთვა-გაზიდვის ვერცერთი წესი. საქართველოს ინდუსტიალიული ინსტიტუტის სამთამადნო ხელოვნების კათედრა თავიდანვე ამტკიცებდა ლაღუმით და მარტო ვაგონეტებით მუშაობის არაბელსაყრელობას, მაგრამ ტრესტის ტექნიკური ხელმძღვანელობა მის აზრს არ იზიარებდა. მარგანეცის გაყელვა - მონგრევის და ტვირთვა-გადაზიდვის მექანიზაციის შესწავლა ინსტიტუტს ტრესტმა მხოლოდ 1936 წლის მეორე ნახევრიდან მიანდო.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ბრიგადამ (ხელმძღვანელი პროფ. გ. წულუკიძე, ბრიგადის უფროსი დოკ. რ. ჯიქია) 1936 წელში გამოსცადა სკრეპერის რამდენიმე ფორმა და შეარჩია ჭიათურის მარგანეცისათვის ყველაზე ხელსაყრელი ფორმები. მან მიაღწია სანგრევიდან სკრეპერით გაზიდვას მარგანეცის გადაუნიჩბავად. ამასთან ერთად მან გამოიმუშავა გადასაზიდი სასკრეპერო სატვირთავი ბაქნის ახალი ორიგინალური კონსტრუქცია (ინჟინერ-მექანიკოს ამხ. ბეგალიშვილის დახმარებით), რომლის დაშლა და სანგრევში ახალ ადგილზე გადადგმა შესაძლოა 30-40 წუთის განმავლობაში. ბაქანი ძლიერ კარგად მუშაობს, რასაც სკრეპერით მუშაობის საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სკრეპერით ზიდვას აწარმოებდნენ მიმდინარე წლის დასაწყისში ლენინის სახ. მაღაროების № 9 ლავაში (მარგანეცის მონგრევა ხდებოდა მარტო აფეთქებით), სადაც სკრეპერით მუშაობამ, ვაგონეტებში ხელით ტვირთვასთან შედარებით, მუშის ნაყოფიერება 315 პროცენტით გაადიდა, ხოლო ოპერაცია 45 პროცენტით გააიაფა.

მარგანეცის მონგრევის ცდები საყელავი მანქანებით და სანგრევი უროებით გატარდა მიმდინარე წელს აგრეთვე ლენინის მაღაროებში (№ № 30, 9 და 10 ლავებში).

№ 10 ლავაში მძიმე ტიპის საყელავი მანქანა ДТК-2 30-35 მეტრის სიგრძის ლავას ყელავს 4-5 საათის განმავლობაში. კბილების ხარჯი აღწევს 1—1,1 ცალს ყელის კვ. მეტრზე. მაგარი შენადნების კარგი დადუღების შემთხვევაში მოსალოდნელია უკეთესი ნაყოფიერება. ამჟამად მუშაობას აწარმოებენ № 12 ლავაში, სადაც ყელვა გრძელდება 3-4 საათს, ხოლო კვადრატულ მეტრზე იხარჯება 0,6—0,7 ცალი კბილი.

მონგრევას აწარმოებენ ლენინგრადის ქარხნის „პნევმატიკის“ სანგრევი უროებით 0M-5. გამოცდილი მონგრეველი ცვლაში ანგრევს 65 ტონა გადარჩეულ მარგანეცს, საშუალო მუშა — 45 ტონას, ხოლო გამოუცდელი მუშა — 34 ტონას. ფუჭ ქანთან ერთად უნდა ვიანგარიშოთ 30 პროცენტით მეტი.

თავის „წინასწარ ანგარიშში“ ბრიგადას მოჰყავს შემდეგი შედარებითი ტექნო-ეკონომიური მაჩვენებლები:

ა) გაყელვის (საყელავი მანქანით) და მონგრევის (სანგრევი უროებით) ღირებულება ტონა მადანზე აღწევს 1,06—1,10 მანეთს. მუშის შრომის საშუალო ნაყოფიერება ცვლაში — 21,1 ტონა. ამნაირად, მექანიზებული მონგრევა იძლევა ეკონომიას 1 ტონა ნედლ მადანზე 0,70 მანეთს, ანუ 64 პროცენტით მეტს, და საშუალო მუშის შრომის ნაყოფიერებას ადიდებს 4,9 ტონით, ანუ 24 პროცენტით მეტად, ვიდრე მონგრევა აფეთქებით.

ბ) სკრეპერით ტვირთვა-გაზიდვა ჯდება ტონა 1,34 კაპ. მუშის შრომის საშუალო ნაყოფიერება — 15 ტონა.

დ) ხელით ვაგონეტის დატვირთვა-გაზიდვა ჯდება ტონა 2,03 მან. მუშის შრომის საშუალო ნაყოფიერება — 3,32 ტონა. ამნაირად, სკრეპერით მუშაობა აიაფებს ტონა მადნის ტვირთვა-გაზიდვას 0,60 მან. და ზრდის მუშის საშუალო ნაყოფიერებას 6,18 ტონით ანუ 70 პროცენტით, ვაგონეტით მუშაობასთან შედარებით.

ე) საერთო ეკონომია ლავაში ორივე სახის სამუშაოზე აღწევს ტონა მარგანეცზე — 1,33 მან.

საშუალო მუშის შრომის ნაყოფიერება უდრის 9,66 ტონას. აფეთქებით და ხელით ტვირთვის დროს საშუალო მუშის შრომის ნაყოფიერება უდრის 6,2 ტონას.

მამასადამე, კომპლექსური მექანიზაციის დროს მუშის შრომის საშუალო ნაყოფიერება მეტია 3,46 ტონით, ე. ი. 56 პროცენტით.

ტრესტის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ აგრეთვე შეაღწია ახალი სამუშაოების ეკონომიური ეფექტი და დაადგინა, რომ:

ა) ეკონომია საყელავი მანქანებით და სანგრევი უროებით მუშაობისას, მარტო ლაღუმით მონგრევასთან შედარებით, თითოეულ ტონა ნედლ მადანზე აღემატება 0,5 მან.

ბ) ეკონომია სკრეპერით მუშაობისას, ვაგონეტების ხელით ტვირთვა-გაზიდვასთან შედარებით, აღწევს სულ ცოტა 0,6 მანეთს ტონა მადანზე. ლავის კომპლექსური მექანიზაციით მიღებული საერთო ეკონომია აღწევს 1,10 მანეთს ტონა ნედლ მადანზე.

ჰოცემული ანგარიში ადარებს მუშაობის ტექნიკურ და ეკონომიურ იფექტს მარტო ლავაში.

მაგრამ მარგანეცის გამოღება-გაზიდვის კომპლექსურ მექანიზაციას, გატარებულს ინსტიტუტის მიერ კიდევ სხვა მრავალი და დიდმნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის ეკონომიას ამოღებულ თითოეულ ტონა ნედლ მადანზე (ალბათ 2-2,5 მანეთამდე) და აგრეთვე გამამდიდრებელ მადანზედაც. ასეთია: სამუშაოთა ბევრად ნაკლები გაკეთდენები; უსაფრთხოება, კარგი განიავება და, ამიტომ, მუშაობის უკეთესი

მეგრული ეთნოგრაფიული გუნდი რემა შეღებიას ხელმძღვანელობით

ზ. გოგოდელაძე
იელოვნების სამმართველოს უფროსი

პარტიისა და ხელისუფლების ზზრუნველობამ, პირადად ამხ. ლავრენტი ბერიას ყოველდღიურმა ზზრუნველობამ და განსაკუთრებულმა ყურადღებამ ქართული ხელოვნების, კერძოდ კი ხალხური შემოქმედების ზრდისა და განვითარებისათვის ჯერ არნახული პირობები შეუქმნეს. ამას სხვათა შორის მოწმობენ ამ დღეებში ამხ. ლავრენტი ბერიას ინიციატივით პარტიის ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი: ოქტომბრის დიდი რევოლუციის 20 წლის თავისათვის სრულიად საქართველოს ხალხური შემოქმედების ოლიმპიადის მოწყობის შესახებ, ხალხური სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების შესახებ, ბავშვთა სიმფონიური ორკესტრისა და ბავშვთა საგუნდო კაპელის დაარსების შესახებ.

ცნობილია, რომ სახელმწიფო გუნდებს გარდა ჩვენში არსებობენ რაიონული ეთნოგრაფიული გუნდებიც, რომლებიც მნიშვნელოვან მხატვრულ ერთეულებს წარმოადგენენ. რაიონული გუნდების დანიშნულებაა ხალხური შემოქმედების შეკრება, შენახვა და სიწმინდით დაცვა, მათი სწორად გადმოცემა.

ამ მხრივ თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს ცხაკაიას რაიონის ეთნოგრაფიული გუნდი რემა შელეგიას ხელმძღვანელობით, რომელმაც, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოწვევით, ამ დღეებში თბილისში რამდენიმე კონცერტი გამართა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული გუნდი საერთოდ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე. საუცხოოა მეჩონგურეთა ანსამბლიც. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მეგრული სიმღერების შესრულებაში ამ გუნდს ტოლი არა ჰყავს. მეგრულ სიმღერებს იგი დიდი ოსტატობით ასრულებს: შენარჩუნებულია ნამდვილად ხალხური ბუნება, სისადავე და კოლორიტი, რაც გუნდის დიდ დამსახურებას წარმოადგენს.

ამავე დროს გუნდს უნდა მივუთითოთ ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, რაც შემდგომ მუშაობაში ადვილად შეიძლება გამოსწორებულ იქნას.

გუნდი ზოგჯერ სცდილობს, სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდების მსგავსად, სიმღერა და ცეკვა შეკეთებულ-შეფერადებულად მიაწოდოს მსმენელს, რაც სრულიად არ არის საჭირო.

ამხ. შელეგიას ხელმძღვანელობით არსებული გუნდი, როგორც მეგრული რაიონული გუნდი, უნდა სცდილობდეს მეგრული სიმღერების კიდევ უფრო უკეთ ათვისებას, უფრო ფართო რეპერტუარის შექმნას და არ უნდა გამოეკიდოს რაჭული, გურული, იმერული, სვანური, აფხაზური და სხვა კუთხეების სიმღერებს. ამას სათანადო რაიონის გუნდები უფრო უკეთ დაეუფლებიან და თვითონ კუთხის სიმღერების ხალხში გამოტანას უფრო უკეთ შესძლებენ.

ყოველივე ეს აღმოფხვრილ უნდა იქნას ვინაიდან სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდების სამუშაო პროგრამაში შედის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორის ათვისება და მისი ხალხში გამოტანა, ხოლო რაიონულმა გუნდებმა ამ მიზნისათვის რაიონისა და თავისი კუთხის ხალხური შემოქმედება უნდა განამტკიცონ.

გუნდმა გურული ფერხულის მაგივრად რომ მეგრული ფერხული „ხუჯიში“ და „ოსტაპური“ ისწავლოს და შეასრულოს, უფრო მიზანშეწონილი იქნება. სამეგრელოში, რამდენადაც ვიცით, ლეკურს თავისებურად ასრულებენ. ეი ეს თავისებურება უნდა აჩვენოს გუნდმა საცეკვაო სიმღერის „ჰარირას“ შესრულების დროს. ამას გუნდმა მომავალი მუშაობით უნდა მიაღწიოს. მან თავისი მუშაობა ამ ხაზით უნდა წარმართოს.

მეორე მხრივ საჭიროა, რომ ჩვენმა სახელმწიფო გუნდებმა ამ რაიონული გუნდის რეპერტუარიდან გამოიღონ ზოგიერთი სიმღერის შესანიშნავი შესრულება, მაგალითად: „ოჩეშხეი“ — სიმღერა სიმინდის გარჩევის დროს, საჩონგურო სიმღერები, საოხუნჯო „ჭიჭე ტურა“ და სხვ.

ხმებისა და შესრულების მხრივ გუნდს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. საჭიროა გუნდში მოზიდულ იქნას ახალგაზრდობიდან ახალი ნიჭიერი ძალები, რაც რაიონში საკმარისად მოიპოვება.

მართალია, გუნდს ჰყავს მრავალი წლის მანძილზე აღზრდილი და დახელოვნებული მომღერალთა ძველი კადრი, მაგრამ ეს არ კმარა. გუნდში საკმაოდ არ არიან მოზიდული ახალგაზრდები, ახალი კადრები. ეს ნაკლი უმთავრესად ემჩნევა მეჩონგურეთა ფრთას.

ვფიქრობთ, რომ ცხაკაიას რაიონის მომღერალთა კოლექტივი და მისი შესანიშნავი ხელმძღვანელი—მეგრული სიმღერების საუკეთესო ოსტატი ამხ. რემა შელეგია მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რათა მომავალი ოლიმპიადისათვის, აღნიშნულ ნაკლთა გამოსწორებით, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ თავიანთი შემოქმედება.

„ბილეთები არ გაყიდოთ...“

(ლანჩხუთი, საქ. კორეს პონდენტისაგან)

სახალხო მატარებლებზე ხშირია მგზავრებისადმი უხეში მოპყრობა. ბილეთიან მგზავრს გამცილებლები ხშირად ასე მიმართავენ: ადგილი არ არის, უკანა ვაგონში წადიო. ზოგჯერ გიხებითაც კი ისტუმრებენ. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია ლანჩხუთის სადგურზეც. ამის გამო მგზავრები ხშირად ჩამორჩებიან ხოლმე მატარებელს.

რევიზორების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ისინი ქობულეთის, ჩაქვის, სამტრედიის და საჯევახოს სადგურებიდან ლანჩხუთის სადგურს აძლევენ „ცნობას“—ბილეთები არ გაჰყიდოთ, ადგილები სრულებით არ არისო. ზოგჯერ „ცნობა“ მუქარაში გადადის—აქტს შეგიდგენენ და ყველას მოგხსნიანო. ხშირად რევიზორები სდუმან, ცნობას არ იძლევიან. ლანჩხუთის სადგური კი ელოდება ცნობას ბილეთების გაყიდვის შესახებ, და მხოლოდ მაშინ, როცა მატარებელი ჩამოდგება, რევიზორები გადმოდიან ვაგონიდან და უსაყვედურებენ სადგურის უფროსს—რატომ ბილეთები არ გაგიყიდნიათო.

სადგურის მოლარეც შეუდგება ბილეთების გაყიდვას, მაგრამ ველარ ასწრებს და ბევრი მგზავრი უბილეთოდ რჩება. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ „რევიზორს“ ამით უნდა ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს—უბილეთო მგზავრები დააჯარიმოს. აი ფაქტები: 5, 8, 14 ივლისს და 1 და 3 აგვისტოს ლანჩხუთის სადგურში სახალხო მატარებლებზე № 41 და № 42-ზე არცერთი ბილეთი არ გაყიდულა.

8 ივლისს № 41 მატარებელზე რევიზორი უჯმაჯურიძე ქობულეთიდან იტყობინებოდა, რომ ბილეთები არ გაეყიდნათ. თითონ ვაგონში იჯდა და „ნუნუას“ შეექცეოდა, აბა საიდან ეცოდინებოდა თავისუფალი ადგილების რაოდენობა ვაგონში.

3 აგვისტოს რევიზორმა კუტუბიძემ განკარგულება გასცა, № 42 მატარებელზე ბილეთები არ გაყიდოთ. 1 აგვისტოს რევიზორმა წილოსანმა ლანჩხუთის რკინიგზის სადგურს აუკრძალა ბილეთების გაყიდვა № 41 მატარებელზე. როგორც „ბორბოტი ენები“ ამბობენ, ასეთ „საგზირო“ საქმეებში მათ არ ჩამორჩებიან რევიზორები მგელაძე და შავიშვილიც.

სახალხო მატარებლის რევიზორებმა უჯმაჯურიძემ, კუტუბიძემ და წილოსანმა პასუხი უნდა აგონ.

ფ. თოფურიძე.

პარტიულ თემაზე

ჰარჯიაში ახალ წევრთა მიღებას უსულგულოდ ეკიდებიან

პარტიაში მიღება კარგა ხანია განახლდა. ამ მიმართულებით პარტორგანიზაციებმა გაშალეს სათანადო მუშაობა. მაგრამ თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია პარტიაში ახალ წევრთა მიღებას უსულგულოდ ეკიდება.

ფაბრიკის პარტკომი არ ეწევა მასობრივ პოლიტიკურ მუშაობას ამ მიმართულებით, სუსტადაა გაშლილი ფაბრიკის მოწინავე მუშებს შორის ყოველდღიური ახსნა-განმარტება პარტიაში შესვლის საკითხებზე.

ფაბრიკაში 240 კომკავშირელია, 45 თანამგრძნობი და 430 სტახანოველი, რომლებიც მოწადინებული არიან შეავიდნენ პარტიაში. დღემდე ფაბრიკის პარტკომმა პარტიის კანდიდატებად მხოლოდ 8 კაცი მიიღო. პარტიის კანდიდატებიდან წევრად გადარიცხულია მხოლოდ 7 კაცი. ეს იმ დროს, როცა ქარხანაში 46 პარტკანდიდატია.

პარტკომი დოკუმენტთა გაფორმებაში არ უწევს დახმარებას იმ ამხანაგებს, რომლებსაც შეტანილი აქვთ განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

პარტკომი თვეობით აჭიანურებს შემოსული განცხადებების განხილვას. ამ ორგანიზაციაში მიმდინარე წლის მარტში 13 კაცმა შეიტანა განცხადება. ამათში უმრავლესობა კომკავშირლები და სტახანოველები არიან, მაგრამ პარტკომს აღნიშნული განცხადებები დღემდე არ განუხილავს. (საქდესი).

ხუთი კაცი მიიღეს და გაჩერდნენ

მახარაძის რაიონის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის პარტიულ კომიტეტს (პარტკომის მდივანი ფ. კილუბაძე) დღემდე თითქმის არაფერი გაუკეთებია პარტიაში ახალ წევრთა მისაღებად.

ქარხანაში 1000-ზე მეტი მუშაა. მათ შორის 218 სტახანოველი და 130 კომკავშირელია, რომლებმაც საქმით დაუმტკიცეს პარტიასა და ხელისუფლებას თავისი ერთგულება და მოწადინებული არიან პარტიაში შესვლის.

მიუხედავად ამისა, დღემდე ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას პარტკანდიდატებად მიღებული ჰყავს მხოლოდ 5 კაცი.

პარტკომი ფორმალურად ეკიდება პარტიაში მისაღებ წევრების შესწავლასა და შინაურულობას იჩენს ამ საქმეში. მაგალითად, პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს ყოფილი ვაჭარი და ვაჭრის შვილი ალექსანდრე ესაძე. ესაძე, როგორც ყოფილი ვაჭარი, გამომქალავნებულ იქნა რაიკომის მიერ.

კიდევ მეტი, მუშა ფ. დოლგოპოლოვმა განცხადება შეიტანა თანამგრძნობთა ჯგუფში მისაღებად, პარტკომმა კი იგი პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო.

პარტკომი, არც დოკუმენტთა გაფორმებას ეკიდება სერიოზულად. იყო შემთხვევა, როდესაც პარტკომმა პარტკანდიდატად მიიღო კომკავშირის ასაკის მქონე ფ. კუპრაძე. კუპრაძეს რეკომენდაციას აძლევდა არასაკმაო სტაჟის მქონე.

არავითარი მუშაობა არ სწარმოებს თანამგრძნობთა შორის (თანამგრძნობთა ჯგუფში დღემდე მიღებულია მხოლოდ შვიდი კაცი). თანამგრძნობები მოკლებული არიან პარტიულ ხელმძღვანელობას, მათ არ ეძლევათ დავალება და პარტკომი მხოლოდ თანამგრძნობთა სიების შედგენით კმაყოფილდება. იყო შემთხვევა, როდესაც პარტკომმა თანამგრძნობ კიღურაძეს მიამაგრა პარტწევრი დანელია, მაგრამ დანელიამ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ყველა ეს ფაქტი ნათლად ლაპარაკობს იმაზე, რომ მახარაძის რაიონის ძაფსაღებ ქარხნის პარტკომი ფორმალურად ეკიდება პარტიის ზრდის საკითხს (საქდესი).



„ავტორემმომარაგების“ საველკანიზაციო სახელოსნო. კომკავშირელი სტახანოველი ამხ. შ. ბეჟანიშვილი ავტომობილის თვლების აწყობის დროს. ამხ. ბეჟანიშვილი ნორმას 205 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

რედაქტორთა დაუსწრებელი სწავლება

საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი კანონის — სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების სწორად გატარებისა და რევოლუციური შეტევითი სიფხიზლის გაძლიერების საფუძველზე კლასობრივი მტრის აგენტების ნაღლებისა და გამოვლინების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს ბოლშევიკური პრესა — კერძოდ საკოლმეურნეო კედლის გაზეთი.

საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედაქტორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანომ „კრესტიანსკაია გაზეტამ“ და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანომ „კომუნისტმა“ საქართველოში მოაწყეს რედაქტორთა დაუსწრებელი სწავლება. ეს სწავლება ახლაც მიმდინარეობს.

რედაქტორთა დაუსწრებელ სწავლებაში საქართველოს 38 რაიონიდან ჩაბმულია საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედაქტორები, რედკოლეგიათა წევრები და აქტიური სოფლკორები — სულ 840 კაცამდე.

დაუსწრებელი სწავლების მიზანია აამაღლოს საკოლმეურნეო კედლის გაზეთების მუშაკთა პოლიტიკური მომზადების დონე და თვითეული რედაქტორი დაეუფლოს საგაზეთო მუშაობის ტექნიკას.

ამ მიზნის მისაღწევად დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მსმენელებს ეგზავნებოდათ და ეგზავნებათ ლექციები სხვადასხვა თემებზე: „ბოლშევიკური პრესა, როგორც სოციალისტური მშენებლობის იარაღი“, „კედლის გაზეთის რედკოლეგიის მუშობა“, „როგორ უნდა გასწორდეს შენიშვნები“, „მუშაობა სოფლკორებთან“ და სხვ.

ამ ლექციებში ნათლად მოცემულია, თუ რა ამოცანების წინაშე დგანან კედლის გაზეთის რედაქტორი და რედკოლეგია.

საგაზეთო მუშაობის საკითხების ღრმად შესწავლის მიზნით თვითეული ლექციის დამუშავებასთან დაკავშირებით ეწყობა კონსულტაციები რაიონის ცენტრში, უბნებში და აგრეთვე ინდივიდუალურადაც იმ შემთხვევაში, როცა მსმენელი ვერ ახერხებს კოლექტიურ კონსულტაციაზე დასწრებას.

კონსულტაცია ეხმარება მსმენელებს მათთვის გაუგებარი საკითხების გარკვევაში. გარდა ამისა, კონსულტანტი მათ აძლევს პრაქტიკულ დავალებებს საკედლისგაზეთო მუშაობის საკითხებზე და მორიგი კონსულტაციის ჩატარებისას ამოწმებს დავალებათა შესრულებას.

1936-37 წლის სწავლების შედეგად საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა მახარაძის რაიონში. მაგალითად, 1935 წელს რაიონში გამოდიოდა 20 საკოლმეურნეო კედლის გაზეთი, ეს რიცხვი წელს 39-მდე ავიდა. ტექნიკური გაფორმებისა და შინაარსის მხრივ უკეთესად გამოიყურებიან ცხემლისხიდის (რედაქტორი გ. ლომიძე), წითელმთის (რედაქტორი შ. ჭეიშვილი), მაკვანეთის (რედაქტორი ვ. მიმინოშვილი) კედლის გაზეთები.

ასევე ითქმის ვანის რაიონზე, სადაც კედლის გაზეთების რიცხვი 24-დან 32-მდე ავიდა. გაზეთების ხარისხი გაუმჯობესდა ზეინდარში (რედაქტორი დ. გოგიბერიძე), ძულუხში (რედაქტორი ა. ონაკავაძე), დიხაშხოში (რედაქტორი ხ. შალამბერიძე), ისრითში (რედაქტორი ვ. გოგორიშვილი) და სხვ.

ფოთში, ჩოხატაურში, ტყიბულში, ბაგდათში, ბორჯომში, ასურეთში, ბაზალეთში, ბურნეთში, ბაკურიანში, ბაკურციხეში, ბაკურიანში, ბაკურიანში, ბაკურიან

ხოხუმი

სურათზე: თბომავალი „არმენია“ ხოხუშის ნავსადგურში (ზედ ქალაქის სანაპირო ბაღიდან).

ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ხოხუმის ბოტანიკური ბაღი

ხოხუმის ბოტანიკურ ბაღს 97 წელი შეუსრულდა.

მისი გაშენება დაიწყო 1840 წელს.

1877 წელს, როცა რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო, ბაღი განადგურდა — დაიწვა.

მალე ისევ დაიწყეს გაშენება, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამდე ძაინც ვერ შესძლეს ძველი ძვლა-პატოობა.

ახლა, როცა თვითეულ ბუჩქს მზრუნველი გამოუჩიდა, ბოტანიკური ბაღი გადაიქცა სუბტროპიკული ფლორის შესანიშნავ ცოცხალ მუზეუმად.

ალჟირის, ეგვიპტის, ბელგიის, ავსტრალიის, კანადის, ახალი ზელანდიის, მაროკოს, კალიფორნიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების სამეცნიერო ინსტიტუტებთან, მუზეუმებთან, საცდელ სადგურებთან აქვს კავშირი ხოხუმის ბოტანიკურ ბაღს, სადაც ყოველდღიურად იზრდება სუბტროპიკულ მცენარეთა იშვიათი კოლექცია.

მარტო მიმდინარე წლის გაზაფხულზე სამოცდაათნაირი სახის დეკორატიულმა მცენარემ გაიდგა ფესვები მიწაში და კეთილშობილი სუბტროპიკული ოჯახის წევრთა ამოუდგა გვერდში.

ყველა ხეს, ბუჩქს თავისი პასპორტი აქვს.

ოჯახის ამ ახალ წევრთა პასპორტებზე სწერია: ოქროს ხე, ინდიგოფერა, ამორფა, პარკინსონია, კონფეტის ხე და სხვ.

ყველა ეს მცენარე იშვიათი და ძვირფასია.

ავილოთ თუნდაც ინდიგოფერა. ეს დეკორატიული ჯიში იძლევა შესანიშნავ ლურჯ საღებავს. მისი სამშობლო ინდოეთია.

არმიელებივით მწყობრში რომ ჩამდგარან. ამაყად წელში გაძართულან და ჰაერში ატყორცნილან 4-5 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ ერთმანეთისაგან განირჩევიან — ეს სხვადასხვა სახის ბამბუკებია.

ამ ცოცხალი მუზეუმის ტერიტორიაზე სულ ოცდაერთნაირი ბამბუკი იზრდება. აი, ზოგიერთი მათგანის სახელები: „მოოსო“, „მადაკა“, მრგვალი, ქოლგისებური, მოოქროსფერო და სხვ.

სამხრეთ - ამერიკაში (ბრაზილია და ურუგვაი) იზრდება არაჩვეულებრივად გემრიელი და სურნელოვანი ფეიხოა.

ხოხუმის ფეიხოა თავისი გემოთი და სურნელებით არაფრით არ ჩამოუვარდება მას. მისი პირველი ნერგი მოტანილია სამხრეთ საფრანგეთიდან და პირველად დარგეს ბაღში 1904 წელს.

ყველაზე გამძლეა წითელი ხე — იგი თავის სამშობლო ამერიკაში სამი ათას წელიწადს ცხოვრობს.

იაპონური ხურმა, იაპონური ზეთის ხე, ლურჯი ეკალიპტი, ამერიკული აგავები, — რომელი ერთი კეთილშობილი სუბტროპიკული ხე და ბუჩქი ჩამოთვალოთ, პატარძლის ჩიხტი-კობავით რომ არ ამშვენებდეს ბოტანიკური ბაღის ხავერდივით გაშლილ ტერიტორიას.

დიაღ, ბოტანიკური ბაღი 97 წლისაა. „მოხუცდა“, მაგრამ ეს მოხუცება როდი გავს ადამიანისას. მისი ცხრა ათეული წელიწადი ნიშნავს სიკეკლუცის მომატებას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც მათი დედ-მამობა იკისრა საბჭოთა ხელისუფლებამ.

შვიდასამდე ჯიშის ხე და მცენარეა ბაღში, თავს კარგად გრძნობენ და იზიდავენ არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებლებს, არაძედ სტუმრად მოსულებსაც.

აძიტომ ყოველდღიურად ბოტანიკურ ბაღს ათვალიერებს ასზე ძეტი კაცი მოსული — ზუგდიდიდან, აბანგელსკიდან, ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, თბილისიდან, საერთოდ, საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან.

ხოხუმის ბოტანიკური ბაღი დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს.

○

აი, ზღვის ჰორიზონტზე გამოჩნდა გემი...

მოადგა ხოხუმის ნავსადგურს. თავისებური ძახილით მიესალმა ზღვის ქალაქს.

ზღვა კი ხმაურობს, ტალღა ტალღას სცემს, თითქოს მილიონები უკრავდნენ ტაშს საყვარელ ბელადს.

— ვჩერდებით ოთხი საათით, — აცნობა მგზავრებს რადიომ.

— „ბოტანიკური ბაღისკენ!...“

ათეული და ასეული ექსკურსანტები, ტურისტები, მოაგარაკენი ჩქარი ნაბიჯით მიეშურებიან ქ. ხოხუმის ბოტანიკური ბაღის სანახავად.

ასეა ყოველდღე, როცა კი გემი მოადგება ნავსადგურს.

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ „პატარძლის“ სანახავად მისულ სტუმრებს გზის მაჩვენებელი არა ჰყავს.

— ერთი „ბიოგრაფი“ კი საჭიროა განმარტებებისათვის, — ხშირად უთქვამთ სტუმრებს.

ამ სამათლიანი საყვედურის ლიკვიდაცია არ არის ძნელი, თუ კი ამას ბაღის დირექცია მოისურვებს.

ს. გაბესკირია

გამომგონებლების ნოგათი დიდ დღესასწაულისათვის

ოქტომბრინ დიადი რევოლუციის ოცი წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს გამომგონებლები უმზადებენ მშრომელთა მასებს ახალ საჩუქარს: საქართველოს მოწინავე გამომგონებლებმა იკისრეს ამ დიდი დღესასწაულისათვის სათანადო ორგანიზაციებს გადასცენ ახალი გამოგონებები. უკვე წარმოდგენილია 23 ახალი და ძეტად მნიშვნელოვანი გამოგონება. მათ შორის არის პროფ. ა. დიდებულიძის, მუშა-სტახანოველის აგასი ყარაგეზიანის, ინჟ. ვ. კაშპროვსკის, ინჟ. კვიტკოვსკის, მეცნიერ მუშაკის ა. სესიაშვილის, მეცნიერ მუშაკის სლოვინსკის, მუსიკოს თამარაშვილის და სხვათა გამოგონებანი.

წარმოდგენილ გამოგონებათა შორის არის: ფეხსაცმლის მექანიკურად საკერავი კომბაინი, ხელოვნური წვიმის ახალი აპარატი, ღვინის სიმჟავის (ძვირფასი პროდუქტია) მისაღები მანქანა და სხვ.

ყველა ეს გამოგონება მიღებული და მოწონებულია გამომგონებელთა საზოგადოებისა და სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მიერ.

ახალი წიგნები

ბაზარზე გამოვიდა საქპარტგამომცემლობის მიერ გამოშვებული შემდეგი წიგნები:

ლ. ზაკოვსკი — უცხოეთის მზვერავ ორგანოებისა და მათი ტროცკისტულ - ბუხარინული აგენტურის ზოგიერთი მეთოდისა და ხერხის შესახებ. ფასი 90 კაპ.

ნ. რუბინი და სერებროვი — სსრკ კავშირში ფაშისტურ დაზვერვათა ძირგამომთხრელი საქმიანობისა და მასთან ბრძოლის ამოცანების შესახებ. ფასი 65 კაპ.

ფიზკულტურელები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის

თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციები ენერგიულად ემზადებიან ახალგაზრდობის XXIII საერთაშორისო დღისათვის.

6 სექტემბერს მწყობრი რიგებით გაივლის ტრიბუნასთან ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ფიზკულტურელთა ხუთიათასიანი კოლონა.

ახალგაზრდობის, ძალისა და სიმარდის პარადს მეთაურობს ფიზკულტურულ, ნაციონალურ კოსტუმებში (ქულაჯებში) გამოწყობილი 200 ფიზკულტურელი, სრულიადსაკავშირო ფიზკულტურული პარადის მონაწილენი. მათ მიჰყვებიან საქართველოს განსახკომის სასპორტო სკოლების, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების, უმაღლესი სასწავლებლების და სხვ. კოლონები.

ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანზე გავლისას სპორტსმენები გვიჩვენებენ საგიმნასტიკო იარაღებზე მუშაობას, ნაციონალურ ჭიდაობას, კრივს.

ამავე დღეს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ქალაქის კლუბებში, ყველა სასპორტო მოედანზე და სტადიონებზე აწყობს ფიზკულტურელთა მასობრივ გამოსვლებს. ვოროშილოვის სახ. კლუბში მოეწყობა საჩვენებელი გამოსვლები კრივსა, ფარიკაობასა და გიმნასტიკაში. ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონის ფეხბურთის მინდორზე ერთმანეთს შეეჯიბრებიან „დინამოს“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდები.

ჩოგბურთის კორტებზე გაიმართება ამხანაგური შეხვედრანი. საზოგადოება „მეცნიერების“ ჩოგბურთელთა წინაღმდეგ გამოვა საზოგადოება „მშენებლის“ კოლექტივი, რომელიც ამასწინათ მოიპოვა „პროფკავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს თასი“.

რეკორდების დამყარების დღეს აწყობენ საცურავ აუზში თბილისელი მცურავები. მასობრივი შეჯიბრება ჩატარდება აგრეთვე კიროვის სახელობის ფიზკულტურის პარკში.

ამ დღეს ათობით ახალგაზრდა ფიზკულტურელები ჩააბარებენ ნორმებს ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“. (საქდესი).

ლენინის ძეგლი ქ. ჯულფაში

ქალაქის ცენტრალურ ადგილას (თეატრის მშენებლობის წინ) იდგმება ლენინის მონუმენტალური ძეგლი, რომლის აგება 35 ათასი მანეთი დაჯდება.

ძეგლის პროექტი უკვე განხილული და მოწონებულია.

ლენინის მონუმენტალური ქანდაკება (სიმაღლე 2,5 მეტრი) დაიდგმება შროშის წითელი მარმარილოს კვარცხლბეკზე. თვით ქანდაკება იჭნება ბეტონისა, ბრინჯაოში გაკლებული.

ძეგლის გახსნა განზრახულია ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე. (საქდესი).

„გამოფენათა კორპუსი“ საქართველოს მუზეუმი

საქართველოს მუზეუმის დირექციამ გადასწყვიტა გაანთავისუფლოს მუზეუმის შენობის ის ახალი დიდი კორპუსი, რომელიც რუსთაველის პროსპექტის გასწვრივაა და დასტოვოს იგი მხოლოდ სტაციონარული გამოფენებისათვის.

სხვადასხვა ლაბორატორიები, კაბინეტები და კანცელარიები გადატანილი იქნება ამ შენობაში, რომელიც ამჟამად უკავია მუზეუმის გვერდით არსებულ სკოლას, ხოლო ეს სკოლა გადაყვანილი იქნება ახალ შენობაში. სკოლის შენობის მესამე სართული უკვე განთავისუფლებულია და გადაეცა მუზეუმს. ლაბორატორიებისა და კაბინეტების გადატანა ამ შენობაში შემოდგომაზე დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის შენობა.

ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობაზე

თბილისში მიღებული ცნობებით, 3 სექტემბერს ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოს“ და „კრასნაია ზარიას“ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაში დამთავრდა ფრედ (1:1).

6 სექტემბერს თბილისს „დინამო“ მოსკოვში შეხვდება „ლოკომოტივს“.

შემოხვევები

მძარცველებს დაპატიმრება. აგვისტოს ერთერთ ღამეს ყვარლიდან შინისაკენ მიდიოდნენ სოფ. ვარდისუბნის მცხოვრები გ. ნ. ტაბატაძე და სოფ. ყარსუბნის მცხ. ა. დ. ლომიძე. სოფ. არეშფერანის მახლობლად მათ გზაზე დახვდა ორი შეიარაღებული პირი და სიკვდილის შეშინებით წაართვა ტანსაცმელი და ფული. ლაგოდეხის რაიმილიციის თანამშრომლებმა მძარცველები შეიპყრეს დღესვე დააპატიმრეს. ისინი აღმოჩნდნენ სოფ. ქევხიანის მცხოვრებნი გ. ი. გობოზოვი და ვ. გ. კუხრაევი. მძარცველებს აღმოაჩნდათ მთელი ნაძარცვი ნივთები და სასროლი იარაღი.

აფერისტი გასტროლიორი. ზილიციამ შეიპყრო ქუთაისი-რეციდივისტი, გასტროლიორი ს. ა. სარქისოვი, რომელიც სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულისათვის ბევრჯერ ყოფილა გასამართლებული. აქვს 8 რეგისტრაცია. ორჯერ არის გამოქცეული სასატიმრიდან. უკანასკნელად ქ. კიროვაბადში მოქ. ნ. მ. ზაზაროვს ჯიბიდან ამოაცალა ფული და კომკავშირის ბილეთი. ამ ბილეთით ჩამოვიდა თბილისში და 26 კომუნარის სახ. კომკავშირის რაიკომს სთხოვა სამუშაოზე გაგზავნა. რაიკომში მას გაუმზადეს საგზური ზაზაროვის სახელზე, მაგრამ სარქისოვმა დროი იხელთა თუ არა, მოიპარა ჯეო კიდევ ხელმოუწერელი დოკუმენტი, გაუკეთა მას ყალბი ხელმოწერა და სხვაგვარით ჩავიდა ბათუმში, რათა მოწყობილიყო „გლავტაბაკის“ განყოფილებაში.

აფერისტი მისვლისთანავე გამოამჟღავნეს.

სარქისოვ-ზახაროვი, რომელსაც აგოთვე აქვს რეგისტრაციები დახალიანისა და ათანესოვის გვარზე, შეპყრობილია.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

5 სექტემბერს:

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სტალინური კონსტიტუცია და ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანები. რუსულ და ქართულ ენებზე. კონსულტანტები: რუსულ ენაზე ამხ. მურაჩაშვილი, ქართულზე — გ. სახაროვი.

დასაწყ. საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა შესდგება 5 სექტემბერს საღ. 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში.

სემინარის თემებია: „ბრძოლა რუსეთში მარქსისტული, სოციალ - დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთათვის); „მარქსი-ენგელსი - ლენინი-სტალინი მშრომელთა უდიადესი ბელადებია“ (პოლიტკოდნის წრეების პროპაგანდისტებისათვის).

სარედაქციო კოლეგია

მშრომელთა წერილები

პრინციპულობა თუ ჯიუტობა?

გიორგი შონია კომკავშირელია. ის გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, 1936 წ. დემობილიზაციით დაუბრუნდა თავის სოფელ ბიას (ხობის რაიონი) და დაიწყო კოლმეურნეობაში მუშაობა. მაგრამ როგორც აქტიური კომკავშირელი, ის კომკავშირის ხობის რაიკომმა მიიწვია კომკავშირის აპარატში მომუშავედ.

გიორგი შონია ამავე დროს კორესპონდენტი იყო. მან „კომუნისტის“ 1936 წ. 16 ნოემბრის ნომერში მოათავსა წერილი სოფ. ბიის კოლმეურნეობაში შემჩნეულ დეფექტებზე. ეს არ მოეწონა კოლმეურნეობის თავმჯდომარე იოსავას და შევიწროვება დაუწყო კორესპონდენტს.

კრიტიკა არც საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანს ამხ. ჯიქიას მოეწონა და შონიას სამართლიანი შენიშვნები ჩასთვალა რაიკომის მუშაობის დამუშავებად. იწყება შონიას უდანაშაულოდ დევნა, შევიწროება, დამცირება. შონია უსაქმურია, ლაზღანდარა, კოლმეურნეობა უმართებულოდ გაგვიწერა, კომკავშირის ხელმძღვანელ ამხანაგებსაც ამუშავებსო და სხვ.

საკმარისი გახდა ეს განცხადება, რომ „ურჩი“ კორესპონდენტი კომკავშირულ სამუშაოდან მოეხსნათ.

შონია დახმარებისათვის მიმართავს კომკავშირის რაიკომის მდივანს ცხადაიას, მაგრამ ამ უკანასკნელმა პარტრაიკომის მდივანს ამხ. ჯიქიას არ აწყენინა.

გადის რამდენიმე თვე... დეგნილ „უსაქმურ“ შონიასათვის ხობის რაიონში სამუშაო აღარ აღმოჩნდა. მისი საკითხი გადასცეს საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში. იქ საკითხი მის სასარგებლოდ გადაიჭრა: კომკავშირის ხობის რაიკომის მდივანს ამხ. ცხადაიას შონიას დევნა-შევიწროებისა და უდანაშაულოდ მოხსნისათვის გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით და მიეცა წინადადება გამოეყენებინა შონია კომკავშირულ სამუშაოზე. გადის დრო... შონია კვლავ უმუშევარია. იქნებ შესაძლებლობა არ იყო, რომ ის სამუშაოზე მოეწყოთ? ეს უდავოდ შესაძლებელი იყო, მაგრამ აქ ხომ ზოგიერთის „პრინციპულობა“ შეილახებოდა!

მართალია, რაიკომის მდივანმა „დაავალა“ კავშირგაბმულობის ხობის განყოფილების გამგეს—მოეწყო შონია საგაზეთო ბიუროში მომუშავედ, მაგრამ მან შონია სამუშაოზე მიღების ნაცვლად თბილისში გაგზავნა რაღაც, როგორც გამოირკვა, არარსებულ კურსებზე. ამნაირად რამდენიმე თვის უმუშევარი ამხ. შონია ხობის რაიონიდან მოხერხებულად განდევნეს... ასეთია სინამდვილე.

ზ. ზ. ზეგენავა.

კომბინატორები მილიციის ფრთებ ქვეშ

„თბილტრანსტორგპიტის“ აბაშის რაიმაზადების კანტორაში ყველაფერი რიგზე არ არის. აქ მოკალათებულან კომბინატორები: დამზადების რწმუნებული ეპიფანე ზაქარეიშვილი და მისი მოადგილე ბირქაია.

კანტორაში მისვლისთანავე ზაქარეიშვილმა დასწერა ბრძანება № 423, რომლითაც თავის თავს მიანიჭა გადაჭარბებული უფლებები თანამშრომლებზე გაელენის მოხდენის მიზნით.

ზაქარეიშვილი და ბირქაია შეთანხმებულად ადგენდნენ ყალბ საბუთებს და მით სახ. ბანკიდან გამოჰქონდათ საკმაოდ დიდი თანხები. 18 ივლისიდან 20 ივლისამდე ორდერებით №№ 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 33 და 52 მათ მოახერხეს 900 მანეთამდე მითვისება. როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, ამ გზით ზაქარეიშვილს და ბირქაიას 1.500 მანეთზე მეტი აქვთ მითვისებული (ყალბი საბუთების შედგენით).

კიდევ მეტი. ზაქარეიშვილმა და ბირქაიამ შეადგინეს ანგარიში, ვითომდა მათ სოფ. ნორიოს მცხოვრებ კოლმეურნე რომანოზ გვაზავასა და სოფ. ონტოფოს მცხოვრებ ანთიმოზ დიმიტრის-ძე თოფურიძისაგან შეისყიდეს ხარები, და ამ ყალბი ანგარიშებით სახბანკიდან გამოიტანეს 1.700 მან. და მითვისეს.

ზაქარეიშვილი ამას არ სჯერდებოდა. მისი ცოლი მაშო სისტემატურად ეწეოდა სპეკულაციას, თბილისში ყიდულობდა ჩითს, მიტკალს, ფეხსაცმელს და შემდეგ რაიონში ზედმეტ ფასებში ჰყიდდა.

ბირქაიამ კი რამდენიმე თვის განმავლობაში მოასწრო 5.766 მანეთის გაფლანგვა.

ბირქაია ზაქარეიშვილზე უფრო „დახელოვნებული“ კომბინატორი აღმოჩნდა და დაიწყო „უვიცი“ ზაქარეიშვილის მოტყუება. აქ კი „ჩატყდა ხიდი“, გაწყდა მათ შორის „ნდობის ძაფი“, და ამხილეს ერთმანეთი.

დროებით მაინც რომ დაეფარათ ბოროტმოქმედების კვალი, კომბინატორებმა კავშირი გააბეს ცნობილ კომბინატორებთან მ. სოლომონიასა და შენგელიასთან, გამოართვეს მათ „ოფიციალური“ საბუთები, ვითომდა შეძენილი საქონელი მათთან ინახება.

ამ ვაუბატონების „საქმიანობა“ კარგად იცოდა აბაშის რაიმილიციამ (მილიციის ყოფ. უფროსი შ. ჭანტურაია), მაგრამ რატომღაც მფარველობდა მათ. აბაშის რაიპროკურატურამ აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთოს და საკადრისი მიუზღოს სოციალისტური საკუთრების გამფლანგველებს და კომბინატორებს.

კომუნიხტის ბრიგადა:
ბრ. ზეგენავა, რ. კაჭარავა, რ. მეძველია, ი. კაჭარავა.

ხოხუმის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი კუთხე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„თავგასწლი თავმჯდომარე“

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ხაშურის რაიონიდან გვწერდა: ქვენატკოცის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ლადო ჩუტკერაშვილი ავიწროვებს კოლმეურნე გლეხებს და მათ მეტად უხეშად ეპყრობაო.

ეს წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანს ამხ. ბელელაძეს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. სას. საბჭოს თავმჯდომარე ლ. ჩუტკერაშვილი გარიცხულია პარტიის რიგებიდან, მოხსნილია სამუშაოდან და მისი საქმე გადაეცა შინსახკომის ხაშურის რაიონის განყოფილებას.

ამ საქმესთან დაკავშირებით პარტორგს ამხ. თურმანიძეს რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებისათვის მიეცა გაფრთხილება.

„უთავბოლო მუშაობის შედეგად“

ამ სათაურით რედაქციამ ჯუღელის რაიონიდან მიიღო წერილი, რომელშიც ავტორი მოგვითხრობდა სოფ. მეორე სვირის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ჩადენილ უმსგავსოებათა შესახებ.

1936 წ. კოლმეურნეობის მეღვინემ ვლადიმერ მერკვილაძემ ღვინოში წყალი გაურია. კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე კ. წაქაძე) უხეირო მუშაობის შედეგად დაიკარგა 300 ფუთი სოია. კოლმეურნეობაში მუშა-პირუტყვის მომვლელად გამოყოფილ სერგო წაქაძის დაუდევრობით მოკვდა 9 სული მუშა-პირუტყვი.

ეს წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჯუღელის რაიონმასკომის თავმჯდომარეს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. სერგო წაქაძე მიცემულია პასუხისგებაში, ხოლო კოლია წაქაძე მოხსნილია კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან.

ყურადღება

ა. წ. 1 ივლისიდან შემცირებულია საოჯახო ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახადები

ყველა ქალაქსა და სასოფლო ადგილებში დაზღვევის ინსპექტორები და აგენტები მიიღებენ საოჯახო ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევებს: ავეჯის, ტანისამოსის, მუსიკალური ინსტრუმენტების და სხვ.

ქონება შეიძლება დაზღვეულ იქნას ყოველგვარი თანხისა მისი წამდვილი ღირებულების ფარგლებში.

დაზღვევის თანხის ყოველ 1.000 მანეთზე, შენობების ცეცხლგამძლეობის მიხედვით, გადასახდელი შეადგენს:

ქალაქში 1 მანეთიდან 4 მანეთამდე.

სასოფლო ადგილებში 3 მანეთიდან 4 მან. 50 კაპიკამდე.

ყოველი მოქალაქე ხანრძისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან თავისი ქონების დაზღვევით ქონების დაღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის აღდგენას საბადაზღვევის ხარჯების ხარჯზე.

ცნობებისა და განმარტებებისათვის მიმართეთ ქალაქისა და რაიონის საბადაზღვევო ინსპექციებს.

2—1 1189 **საქართველოს სახბადაზღვევის საგმართველო.**

თანახმად თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა 1937 წ. 28 აგვისტოს თარიღით (ოქმი 21, § 5)

თბილისის საბჭოს აღგ. მრენე. განყოფილების მარმარილო-მოზაიკური ნარმოება ა. წ. 1-ლი სექტემბრიდან გადაეცა მთლიანად თბილმშენს

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება 15 სექტემბრამდე ლიკვიდკომში, მდებარე 25 თებერვლის ქუჩაზე № 3, 15 სექტემბრის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

370 **ლიკვიდკომი.**

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუნაწილებელი სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილება აცხადებს,

რომ განცხადებების მიღების ვადა ყველა ფაკულტეტზე გაგრძელებულია ა. წლის 1 ოქტომბრამდე.

17342 **დირექცია.**

საქართვ. მსუბ. მრეწველობის სახ. კომისარიატის

სამკერვალო ფაბრიკა № 6

თოდრიას ქუჩა (ყოფილი სომხის ბაზრის) № 22.

აცხადებს

შემკვეთლების საყურადღებოდ

რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შეკვეთები: კოსტიუმები და პალტოები, როგორც კაცის, ისე ქალის, რომლებიც დამზადებული იყო 1 სექტემბრისათვის, მიუხედავად დანიშნული ვადებისა, გამოსაყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. აღნიშნული ვადის შემდეგ შეკვეთები გადაეცემა „მკერავგასაღებას“ და არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

შეკვეთების №№

127, 160, 161, 176, 237, 246, 337, 359, 432, 467, 469, 470, 497, 498, 500, 537, 538, 585, 597, 610, 646, 658, 686, 693, 703, 710, 728, 743, 774, 798, 867, 872, 873, 883, 891, 898, 917, 939, 940, 955, 973, 980, 996, 998, 999, 1000, 1001, 1009, 1011, 1016, 1019, 1020, 1047, 1051, 1054, 1055, 1057, 1059, 1063, 1070, 1073, 1078, 1080, 1081, 1084, 1085, 1090, 1091, 1093, 1097, 1098, 1099, 1108, 1117, 1118, 1125, 1135, 1138, 1147, 1150, 1160, 1167, 1176, 1181, 1195, 1198, 1199, 1201, 1204, 1207, 1208, 1212, 1214, 1220, 1222, 1226, 1234, 1240, 1241, 1244, 1284, 2228, 2280, 2287, 2699, 2429, 2592, 2614, 2636, 2653, 2660, 2669, 2685, 2698, 2713, 2717, 2720, 2736, 2740, 2748, 2754, 2758, 2765, 2768, 2774, 2775, 2780, 2781, 2782, 2784, 2784, 2785, 2787, 2796, 2820, 2831, 2835, 2849, 2856, 2857, 2866, 2873, 2877, 2878, 2881, 2883, 2884, 2887, 2893, 2895, 2897, 2898, 2904, 2905, 3030, 3035, 3137, 3236, 3237, 3293, 3318, 3324, 3336, 3348, 3361, 3365, 3387, 3440, 4050, 4323, 4337, 4362, 4403, 4503, 4507, 4559, 4571, 4573, 4579, 4580, 4583, 4584, 4585, 4599, 4600, 4606, 4611, 4614, 4622, 4623, 4628, 4630, 4631, 4634, 4640, 4643, 4644, 4650, 4657, 4662, 4670, 4672, 4675, 4691, 4698, 4720, 4748, 4775, 5049, 5234, 5245, 5339, 5348, 5345, 5355, 5356, 5375, 5396, 5470, 5476, 5480, 5484, 5499, 5509, 5510, 5522, 5528, 5549, 5551, 5561, 5575, 5600, 5601, 5607, 6059, 6167, 6168, 6169, 6206, 6213, 6919, 7084, 7235, 7260, 7268, 7290, 7330, 7375, 7378, 7382, 7387, 7404, 7407, 7414, 7416, 7430, 7433, 7436, 7443, 7455, 7950, 8055, 8150, 8184, 8308, 8333, 8337, 8347, 8358, 8385, 8395, 8407, 8408, 8414, 8418, 8427, 8429, 8438, 8450, 8457, 8465, 8469, 8470, 8471, 8472, 8473, 8478, 8481, 8482, 8500, 8503, 8507, 4515, 8518, 8577, 9259, 9319, 9323, 9327, 9331, 9332, 9333, 9335, 9337, 9338, 9339, 9340, 9346, 9347, 9352, 9358, 9359, 9362, 9363, 9366, 9367, 9372, 9374, 9398, 13009, 13012, 13017, 13020, 13021, 13022, 13023, 13024, 13025, 13032, 13033, 13036, 13037, 13038, 13039, 13040, 13042, 13043, 13044, 13046, 13049, 13050, 13051, 13053, 13057, 13054, 13064, 13066, 13069, 13071.

შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთები: ხალათები, შალვრები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 1 სექტემბრისათვის, უნდა გამოსაყიდულ იქნას ზემოთ აღნიშნულ ვადაში.

1186

მისამართები: რედაქციისა — თბილისი, რუსთაველის პრ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პრ. № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილებისა—3—73—24, პ.-მბ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამბ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68. მოცულობა რეგისტრაციისა 84507